პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

№ 32 (1461), პარასკევი, 6 აგვისტო, 1965 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანო | «ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО» — ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ | ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა-ფშაველა

მთას ვიყავ. მწვერვალზე
ვიდექ.
თვალთ წინ მეფინა
ქვეყანა.
გულზე მესვენა მზე-მთვარე.
ვლაპარაკობდი
ღმერთთანა.

საკეთილდღეოდ ქვეყნისა
მეძვა სულად და გულადა:
სიცოცხლე, მისთვის
სიკვდილი
მქონდა მეორე რჯულადა.

ხარს ვგავარ ნიაღვარს,
რქით მიწასა ვჩხვერ.
ვბუბუნებ:
ღმერთო, სამშობლო
მიცოცხლე.
მძინარეც ამას ვდუდუნებ.

ვაჟა-ფშაველა

ვაჟას დღეები

8 აგვისტო. დღის პირველ საათზე სოფელ ჩარგალში გაიმართება ვაჟა-ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი მიტინგი.

9 აგვისტო. დღის პირველ საათზე მთაწმინდის პანთეონში მწერლები და თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები გვირგვინებით შეამკობენ ვაჟა-ფშაველას საფლავს. საღამოს რვა საათზე თბილისის ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის საზაფხულო თეატრში გაიმართება ვაჟას ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის საქართველოს სახალხო პოეტი, აკადემიკოსი გ. ლეონიძე. მოხსენებას წაიკითხავს პოეტი ალ. გომიაშვილი. სიტყვებითა და ლექსების კითხვით გამოვლენ მწერლები, მეცნიერები და ხელოვნების მოღვაწეები.

გიორგი ლეონიძე

ვაჟა

ნაწყვეტები პოემიდან „შიო მღვიმელი"

— გულზე არწივის ფრთები ასხია! —
ასეთი გვეგონა ვაჟა ბავშვობის,
ლექსის ღვართქაფი გადმოიღვრება,
მთების ძარღვიდან წარმონაშობი.

მის გულში ზვავმა აიდგა ფეხი,
და სიტყვამ ფრთები შეაფრიალა;
[illegible]
დაქროლდა არწივის ფრთების ფრთხიალში.

როცა დამცირებული იყო ჰაერი,
როცა სინათლისთვის იბრძოდა ერი,
მაშინ მღეროდა...
გადამთიელები
რომ გულს ჩექმური ლურსმნით ჭყლეტდნენ,
და გვირგვინები დიდ ქართველების,
დიდი გმირების სულში ბრწყინავდნენ...
მათ შორის გვყავდა ვაჟა-ფშაველაც,
[illegible]
მთებიდან ლექსი რომ გაავლო,
და გადმოუშვა, როგორც კანჯარი!

მას პირი ჰქონდა სიმწარით სავსე,
მაინც მღეროდა წყევის მაგიერ
[illegible]
[illegible]

[illegible]
და სისხლი სულად იქცა ერისა.
[illegible]
სიტყვა, ერთხელ რომ [illegible].

[illegible]
[illegible]
[illegible]
მთაწმინდას, დიდი [illegible].

• • •

მთების გზებით თბილისისკენ
[illegible]
[illegible]
და ზრიალით ქარაშოტი.
[illegible]
არაგვის ჩქერი
სვლის ხმაზე.
და უეცრად ლექსს გზად კითხულობს,
ვით წარწერას ვერცხლის ხმალზე.
— ვაჟა, ვაჟა! — ხარობს შიო, —
[illegible]
საიდ ხარ, სადა, [illegible]*
[illegible]
[illegible]
[illegible]
— რასა იქ და რა ამბავი?
[illegible]
[illegible]
— მთას მივიდი ჩემი ფეხით,
არც ძველი და არც ახალი!
მარტო ხალხის კვნესა მესმის
[illegible]
[illegible]
[illegible]
თვალი მტკივა, მაგრამ ერის
[illegible]

• • •

...და ჩვენ, ბავშვები თან [illegible],
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
— ჰჰ! — [illegible] ვაჟა-ფშაველა. —

მართლა? უცებ, როგორ გვბრიყვობენ!
რა მამული გვაქვს, ორი მტკაველი,
იმასაც მტრები ჩუმად იყოფენ!
[illegible]
[illegible]
ხმას რად არ იღებს თბილის-ქალაქი?
[illegible]
ოჰ, რად არა ვართ ძალაძლიერი,
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
განთქმულებოდა ვაჟას ხანჯალი!
...სხვაც იყო მათი [illegible] —
[illegible]
[illegible]
სიტყვას რომ გულით ვერ [illegible]...
და პოეზია: რა ლექსებია,
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
ვაჟას „ცრემლებში"* [illegible]
როგორ აღელდა, რა იერიშით,
[illegible]
[illegible]
ბევრი ენახა ამისთანები!
[illegible]
[illegible]
მაგრამ სად ჰქონდათ [illegible],
როდის იყო [illegible]!

... და შემამჩნიეს...
ამაკანკალა...
[illegible]
— მოდი, [illegible], მოდი, [illegible],
როგორა სწვალობ?
ხომ [illegible]?
[illegible]
[illegible]
„[illegible]
[illegible]"

— მთების სული,
[illegible]
[illegible]
ლექსის ფერი,
სიტყვის [illegible], —
[illegible] —
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

მთის შვილები — ქართველები,
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
მოდი, შიო, [illegible]!

[illegible]
[illegible]
რომ [illegible] ქართლი [illegible],
[illegible]
და [illegible]
— სამშობლოს ლექსებს [illegible]!

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

• • •

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
რა ღამე იყო, — [illegible]
[illegible]

• • •

[illegible]
[illegible]
— ვაჟავ, რა იყო, რა დაგემართა? —
[illegible]
[illegible]
[illegible]
— [illegible]
[illegible]
— [illegible] — რა მომივიდა?
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
— [illegible]
[illegible]
[illegible]

• • •

და განა მარტო შიო მღვიმელი,
[illegible]
[illegible]
[illegible]
— ჩვენი ხარ ვაჟა, განა სხვისი ხარ,
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

• • •

... და ვაჟა დგას, როგორც [illegible],
[illegible]
[illegible]
[illegible]
— [illegible]
[illegible] —
[illegible]
[illegible]

• • •

[illegible]
რა [illegible], თუ ლექსები ვერ [illegible];
თუ [illegible]...
რად ვერ [illegible],
რად ვერ [illegible]
საქართველოზე [illegible]?
[illegible]
არა [illegible]!
ცრემლი და ლექსი
ერთად [illegible]...

• • •

[illegible] ვაჟა-ფშაველა
და [illegible],
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

[illegible]
[illegible]
[illegible]
და [illegible]...

• • •

ხან არა თოფი
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
არ [illegible]!

• • •

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

[illegible]
[illegible]
და [illegible]
[illegible]
— ვაჟა,
ვაჟა!

• • •

...და ასე უცებ, რომ [illegible]?
[illegible]
[illegible] ვაჟა-ფშაველა
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
და მთაზე, მთაზე [illegible],
[illegible]
[illegible]
[illegible]
და [illegible],
როგორც [illegible]!

• • •

— [illegible]
როგორ [illegible]? — შიო [illegible]...
— მთაში [illegible]!
და შიოს [illegible]!
— [illegible]
[illegible]
არ [illegible]
ვაჟას [illegible]!

• • •

მაგრამ [illegible],
ვაჟა [illegible]...
[illegible]
სამშობლოსათვის [illegible],
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
და [illegible]
[illegible]
და სამშობლოს [illegible]...
[illegible]

• • •

— შენ როდის [illegible]?
[illegible]
[illegible]
[illegible]!

[illegible]
[illegible]?
[illegible]! —
ხალხი [illegible],

---

* [illegible] — ჯიუტი.

* ადამ მიცკევიჩის სიტყვები.

იოსებ გრიშაშვილი

ქართულმა საბჭოთა მწერლობამ მძიმე დანაკლისი განიცადა: 3 აგვისტოს საღამოს 6 საათზე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სახალხო პოეტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი **იოსებ გრიშაშვილი** (იოსებ გრიგოლის ძე მამულაიშვილი). ჩვენს რიგებს გამოაკლდა სპეტაკი და კეთილშობილი ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება უანგაროდ მოახმარა ქართული მწერლობის განვითარებას. შეწყდა მგზნებარე გულისცემა წრფელგულოვანი პოეტისა, ქართული პოეტური კულტურის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ოსტატისა.

იოსებ გრიშაშვილი ფართო პროფილის შემოქმედი იყო. იგი ეკუთვნოდა ჩვენი საუკუნის მწერალთა და მოღვაწეთა იმ სახელოვან პლეადას, რომლითაც ასე ამაყობს ქართველი ხალხი. არ ყოფილა ეროვნული კულტურის თითქმის არცერთი სფერო, რომლის გამდიდრება-განვითარებაშიც მას ფასდაუდებელი წვლილი არ შეეტანოს. იოსებ გრიშაშვილმა ქართული პოეზია მრავალი უკვდავი ქმნილებით გაამდიდრა და შთამაგონებლად უმღერა სამშობლოს თავისუფლებას, მის აყვავებას, ახალი, ბედნიერი ცხოვრების დამკვიდრებას. იოსებ გრიშაშვილი მხოლოდ პოეტი როდი იყო. სამოცი წლის მანძილზე იგი დაუღალავად ემსახურებოდა ქართულ თეატრს, მეცნიერის კეთილსინდისიერებით იკვლევდა ქართული ლიტერატურისა და თეატრის წარსულს, აშუქებდა მოძმე საბჭოთა ხალხების კულტურული ურთიერთობის რთულსა და საინტერესო პრობლემებს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს იოსებ გრიშაშვილის დამსახურება მთარგმნელობითი ლიტერატურის განვითარებაში. მისი თარგმანები [illegible] წარმოადგენენ და საყოველთაო აღიარებას ჰპოვებს.

იოსებ გრიშაშვილი დაიბადა 1889 წლის 22 აპრილს, თბილისში, ხელოსნის ოჯახში. წერა-კითხვა მან შეისწავლა და შემდეგ სწავლა თბილისის ქართულ გიმნაზიაში განაგრძო. ნიჭიერმა და ბეჯითმა მოწაფემ მალე მიიქცია მასწავლებელთა ყურადღება. მაგრამ მამის სიკვდილის გამო მომავალი პოეტი იძულებული გახდა გიმნაზიისათვის თავი დაენებებინა. მიუხედავად ამისა, შეძლო გიმნაზიის მთელი კურსი დამოუკიდებლად დაესრულებინა.

ი. გრიშაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართულ თეატრთან, სადაც იგი მუშაობდა როგორც მოკარნახე, მსახიობი და რეჟისორი. თეატრში მუშაობის წყალობით მან კარგად შეისწავლა ქართული, რუსული და ევროპის კლასიკური დრამატურგია.

ლიტერატურული მოღვაწეობა იოსებ გრიშაშვილმა ადრე დაიწყო. 1906-1907 წლებში გამოიცა მისი ლექსების პირველი ორი კრებული, სადაც სატრფიალო ლექსებთან ერთად დაბეჭდილია რევოლუციური ხასიათის სიმღერები, პოეტი მოუწოდებდა მშრომელთ უკეთესი მომავლისათვის საბრძოლველად, მოუწოდებდა მაღლა აღემართათ წითელი დროშა.

იოსებ გრიშაშვილის პოეტური ნიჭი მთელი ძალით მომდევნო პერიოდში გაიფურჩქნა. 1907 წელს ილია ჭავჭავაძის ვერაგულად მკვლელობის გამო დაწერილმა ლექსმა სწრაფად მიიპყრო საზოგადოების ყურადღება.

იოსებ გრიშაშვილმა განავითარა ქართული კლასიკური პოეზიის ტრადიციები და ლექსის ფორმა ახალ სიმაღლეზე აიყვანა. შემთხვევითი როდი იყო, რომ მეოცე საუკუნის დიდმა პოეტმა გალაკტიონ ტაბიძემ სწორედ ამ პერიოდში ორი ლექსი უძღვნა იოსებ გრიშაშვილს. ლიტერატურის ისტორიაში იშვიათი შემთხვევაა, რომ სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე პოეტს ხალხის სიყვარული და საყოველთაო აღიარება მოეპოვებინოს, როგორც ეს იოსებ გრიშაშვილმა მოიპოვა.

1914 წელს გამოვიდა იოსებ გრიშაშვილის ნაწარმოებთა პირველი ტომი, რომელშიც მხოლოდ რჩეული ლექსები შევიდა.

იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებითი ინტერესები მხოლოდ ლექსებითა და თეატრში მუშაობით როდი ამოიწურებოდა. მას ეკუთვნის აგრეთვე მთელი რიგი საინტერესო მეცნიერული გამოკვლევები ლიტერატურათმცოდნეობის დარგში. ი. გრიშაშვილის პირველი კაპიტალური მონოგრაფია, რომელიც გამოიცა 1918 წელს, მიეძღვნა დიდ სომეხ საიათნოვას, [illegible] მეცნიერულ კვლევას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობა უფრო ნაყოფიერი გახდა, სრული ძალით გამოვლინდა და აყვავდა მისი მრავალმხრივი პოეტური ნიჭი.

1922 წელს გამოვიდა იოსებ გრიშაშვილის ლექსების მეორე ტომი. ცოტა ხნის შემდეგ კი მას მოჰყვა პოეტის ახალი ლექსები, რომლებშიც ჩვენი ეპოქის სიდიადე, ხალხის ფიქრები და მისწრაფებანია გამოხატული. არ ყოფილა არც ერთი ცოტა თუ ბევრად მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში, რომელსაც პოეტი გულწრფელად და მთელი ხმით არ გამოხმაურებოდეს.

დიდი სამამულო ომის წლებში მთელი თავისი ნიჭი პოეტმა მტერთან ბრძოლის საქმეს ახმარა. გამარჯვების რწმენით გამსჭვალული მისი ნაწარმოებები აღაფრთოვანებდნენ საბჭოთა ადამიანებს ახალი საგმირო საქმეებისათვის. გამარჯვების შემდეგ პოეტი შთამაგონებლად უმღეროდა მშვიდობისა და კომუნიზმის თავდადებულ მშენებლებს, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის მოპოვებულ გამარჯვებებს.

ი. გრიშაშვილის კალამს ეკუთვნის თვალსაჩინო გამოკვლევები: „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა", „ალექსანდრე ჭავჭავაძე", „ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრი", „ყაზბეგი როგორც მსახიობი", „ასიკო ცაგარელი", „შიო მღვიმელის რევოლუციური პოეზია", „ოსტროვსკი საქართველოში", „ქართული შექსპირიანა და ივანე მაჩაბელი", „გაბრიელ სუნდუკიანი", „ლერმონტოვი ქართულ ლიტერატურაში", „გოგოლის „რევიზორი" ქართულ სცენაზე", ა. წერეთლის თხზულებათა მესამე და მეოთხე ტომების შენიშვნები, „შევჩენკო და საქართველო", ივანე თუმანიანის, მირზა ფათალი ახუნდოვის ნაწარმოებთა საუკეთესო თარგმანები და სხვ.

იოსებ გრიშაშვილმა დიდი წვლილი შეიტანა ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარებაში. შიო მღვიმელის შემდეგ ძნელია დავასახელოთ მეორე პოეტი, რომელიც ასეთი სიყვარულით სარგებლობს ნორჩ მკითხველებში.

იოსებ გრიშაშვილის სახელი დიდი ხანია გასცდა მშობლიური ქვეყნის ფარგლებს. მისი ლექსები თარგმნილია საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ხალხის ენაზე, აგრეთვე უცხოურ ენებზე.

ი. გრიშაშვილი თავის ბიბლიოთეკაში.

იოსებ გრიშაშვილი დიდ პრაქტიკულ მუშაობას ეწეოდა მწერალთა კავშირში, როგორც მისი გამგეობის უცვლელი წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, სადაც ის განმარტებითი ლექსიკონის სარედაქციო კოლეგიის წევრი იყო, საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში, რომლის გამგეობის პრეზიდიუმის წევრი იყო დაარსებიდან უკანასკნელ [illegible].

იოსებ გრიშაშვილის ღვაწლი ღირსეულად დააფასეს ხალხმა, კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ. მას მიენიჭა საქართველოს სახალხო პოეტის მაღალი წოდება, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება. დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით და არჩეული იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

ქართველი მწერლები, მეცნიერები, კულტურის მუშაკები, მთელ ქართველ ხალხთან ერთად, დიდი გულისტკივილით ეთხოვებიან საყვარელ პოეტსა და უანგარო საზოგადო მოღვაწეს, კეთილსა და სათნო ადამიანს.

მისი ხსოვნა მარად იცოცხლებს ქართველი ხალხის გულში.

საქართველოს სსრ მწერალთა კავშირი
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი
საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 3 აგვისტოს მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 76 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სახალხო პოეტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

იოსებ გრიგოლის ძე გრიშაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შექმნა საქართველოს სახალხო პოეტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის იოსებ გრიგოლის ძე გრიშაშვილის დაკრძალვის მომწყობი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები ი. ბ. აბაშიძე (თავმჯდომარე), ზ. ე. ბუხრაშვილი, ვ. დ. გუდიაშვილი, გ. ნ. ლეონიძე, ნ. ი. მუსხელიშვილი, ბ. დ. ჟღენტი, დ. გ. სტურუა, ბ. ვ. შინკუბა.

ი. გ. გრიშაშვილის დაკრძალვა მოხდება საქართველოს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში.

ი. გ. გრიშაშვილის დაკრძალვასთან დაკავშირებულ ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

ი. გ. გრიშაშვილის დაკრძალვის მომწყობი კომისიისაგან

ი. გ. გრიშაშვილის დაკრძალვის მომწყობი კომისია იუწყება, რომ სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 5 და 6 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე განსვენებულის ბინაში — ლენინის ქუჩა, 20.

ი. გ. გრიშაშვილის ცხედარს 7 აგვისტოს დაასვენებენ საქართველოს მწერალთა კავშირის სახლში (მაჩაბლის ქუჩა, 13). განსვენებულთან გამოთხოვება დაიწყება 12 საათზე. გამოსვენება დღის 5 საათზე. დაკრძალვა მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში.

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ): იოსებ გრიშაშვილი, სომეხი პოეტი გეორგ ემინი და გალაკტიონ ტაბიძე ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე მოსკოვში, 1958 წ.

ვაჟა-ფშაველა.

გაბრიელ ჯაბუშანური

პანთეონში ვაჟასთან

ადე! —
დაუხსენ კუბოს კიდობანს,
ხალხს ლექსი უთხარ შენი საწყალი;
ადე, დილიც ქვეყნად მზეობა, —
შენ სად გულია საფლავს საწოლად?
ადე! —
[illegible] სიტყვით მოცელე;
სხივი ასხურე სიცოცხლის მარცვალს.
ალუდას ჩაჩნეთს აჭრევს მუცალი.
ხევსურს უშენოდ იქ წყალი არ სწადს.
ჩარგალს მოსულა ქისტი ჯოყოლა,
მგოსანს გიხმობს და გიწვევს მარჯვენას,
ზვიადაურიც თან მოჰყოლია, —
შენი ამაყნი მოყმეთ არ სჯერათ!
ადე! —
მინდიას [illegible] ხინდი,
უშავით ბამბრიონს მთის ლაშქარი.
ღამეც არ იყოს, —
მირსავ ხომ მინდა,
რომ თვალით ერთხელ გნახო აშკარად!
ადე! —
ამბობენ, კუბოდან თავს სწევს
გუშინ რომ ძალუერ ჩაკვდა წიწილა..
მიწამი, დაუ, დუშმანთ დაწვავ.
შენ სად გულია საფლავს საწოლად!

მ ზ ე წ ვ ი ა

აჰ, მთაწმინდაზე, ერთი მზეწვია
ყოველ გაზაფხულს ვაჟას ჩაუძახის: —
ადექი, ლექსი, მწვანე გვეწვია,
მთაშიც ბანბაკებს ნაზად ბალახი!
არაგვზე უკვე ლამბა აიდო,
თეთრ მთასაც თოვლი აჰუნდებათ
და დაგიბარებს: —
კაცო, რა იყო
ამდენ ხანს ბარში დაიყუდებით...

სისკარს—ქვემოქედში

წამოდი, ერთხელ კიდევ წავიდეთ
და ცივ-გომბორზე ვუსინჯოთ ნისლები,
კვლავ მოვილიოთ საწყისი წყაროებს,
კვალად ჩამოვყვრათ ფანდურის მიზრალდი.
ხედავ, შეჯახუთეს ბარის ხეატებმა,
გულს სამოთხისა შერთ მგვდება.
შენ — ჩარგლელ ქალი,
მე — არაგველ გაქ
რა გვეზრმით — თუ — ქვემოქედება?
ან, ბარში თავი არა მაქვს ქუდში
და ვე თავშილის გაუცნაურდა.
მანდ. — ზემოქედში თუ ქვემოქედში
ან აქ, ქალაქში, ქედებს რა უნდა!
წამო, სისკარო,
კიდევ წავიდეთ
და ცივ-გომბორზე შევსვათ ნისლები,
მერე კი, როცა ალვანს ავიწყვეტ, —
ვუამბოთ მშობლიურ მთათა კიხრები.
ჩარგალს შევუდგეთ,
არაგვს ავედეთ,
[illegible]
და ჩანარბილი მამადავითზე
დაგვავიწყებს ვაჟა-ფშაველა.

დიდი მწერლის

ლიტერატურულ-ესთეტიკური ნააზრევი

ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული მემკვიდრეობა მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია. მან მარტო პოეტური შედევრები კი არ დაგვიტოვა, არამედ ბელეტრისტული და დრამატული ნაწარმოებები, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები, კრიტიკულ-თეორიული წერილები, პუბლიცისტური ფელეტონები. მკითხველ საზოგადოებას ვაჟა-ფშაველამ გადაუშალა თავისებური პოეტური სამყარო. მან აბსოლუტურად დასვა და გადაჭრა მრავალი პრობლემა. იგი პროგრესულ იდეებს ემსახურებოდა. მოწინავე პრინციპებს გამოხატავდა. ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებები გამსჭვალულია ხალხის გულმხურვალე სიყვარულით და მგზნებარე პატრიოტიზმით. მართალია, ვაჟა-ფშაველა მეტწილად მთაში ცხოვრობდა, მაგრამ მას თავისი დროის საქართველოს ცხოვრების არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა არ დავიწყებია. მსგავსად ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლისა, იგი მშობელი ქვეყნის იმედით მოჭირნახულე იყო.

ვაჟა-ფშაველას ესთეტიკურ შეხედულებათა ხასიათი განისაზღვრება მისი საერთო მსოფლმხედველობით, რაც ჩამოყალიბდა, ერთი მხრით, მე-19 საუკუნის 60-იანი წლების რევოლუციურ-დემოკრატიული აზროვნებისა და, მეორე მხრით, საქართველოს იმდროინდელი სინამდვილის უშუალო გავლენის შედეგად. რეალიზმის პრინციპები, რასაც ქართულ ლიტერატურაში იცავდა ვაჟა-ფშაველა, ი. ჭავჭავაძის და ა. წერეთლის თეორიის შემდგომი განვითარებაა. იგი მტკიცედ და თანმიმდევრულად მიჰყვება ხელოვნების ბუნებისა და დანიშნულების იმათ გაგებას, რაც ასე სრულად და მკაფიოდ გამოთქვეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილმა წარმომადგენლებმა. მისი ესთეტიკური შეხედულებების დამახასიათებელია ლიტერატურის, ხელოვნების დიდი საზოგადოებრივი როლის აღიარება.

ესთეტიკის ძირითად საკითხზე — ხელოვნების, ლიტერატურის სინამდვილესთან ურთიერთობის თაობაზე ვაჟა-ფშაველა იმ აზრს იცავს, რომ მხატვრული შემოქმედების შთაგონების წყარო ცხოვრებაა. იგი უარყოფს იდეალისტურ ესთეტიკას, მშვენიერების შესახებ მარადიულობის კანონებს. ვაჟას აზრით, „აბსოლუტური სული", მისტიკური „ინტუიცია", „ზებუნებრივი" ძალა კი არ არის მხატვრული შემოქმედების საფუძველი, არამედ რეალური ცხოვრება, მწერალი თავის მხატვრულ სახეებს ცხოვრებიდან იღებს. მისი ესთეტიკური თეორიის ძირითადი აზრი ის არის, რომ უპირველესი ადგილი ხელოვნებაში მიკუთვნებული უნდა ჰქონდეს რეალური სამყაროს სიმდიდრე. წარმოგვიდგენს სინამდვილეს, გამოხატავს თავისი დროის მოწინავე იდეებს, ახსნის ცხოვრებას, გამოიტანს მსჯავრს. „მწერლობა მაშინ ასრულებს თავის წმინდა მოვალეობას, როცა უცდომლად ემსახურება ქვეყანას. [illegible] ქვეყნის სამსახური მწერლობისა კიდევ იმით გამოიხატება, რომ ყოველი წვლილი, ავი თუ კარგი თავისი ქვეყნისა ესმოდეს, შეგნებული ჰქონდეს მისი საჭიროება და სხვებსაც შეაგნებინოს, ასევე, ყველა ავადობას, ყველა წყლულს წამალი დასდევს".

იმასთან დაკავშირებით, რომ ხელოვნებას ცხოვრებაში უდიდესი როლი ეკისრება, ვაჟა-ფშაველა აყენებს მწერლის, მხატვრის განსაკუთრებული როლის საკითხს. გულგრილობა შეუთავსებელია მწერლის დიდ დანიშნულებასთან, ხელოვნების ბუნებასთან. ნამდვილი მხატვარი აქტიური მოღვაწეა თავისი ხალხისა. ასეთი მწერალი არ შეიძლება დაშორებული იყოს თავისი დროის მოწინავე იდეებს. ლიტერატურა ვალდებულია ამხილოს ცხოვრებაში არსებული უსამართლობა, სიდუხჭირე, დაუსახოს ხალხს გზა უკეთესი მომავლისაკენ. „მწერლობა ძალაა, ერთი უძლიერესი იარაღთაგანია ერის წინსვლისა, მისი გონებისა და ცხოვრების გაუკეთესებისა".

ლიტერატურა უნდა ემსახურებოდეს სინამდვილის ძირითადი საკითხების გადაწყვეტას, პოეზიისათვის, ხელოვნებისათვის სათაკილო არ უნდა იყოს ერის საჭიროების სამსახური. „იქნება ზოგმა იუცხოვოს და სთქვას: ხელოვნების საჭიროებასთან რა კავშირი აქვს, ხელოვნება ხელოვნებისათვის უნდა იყოსო. მაგრამ თუ ღრმად ჩავუკვირდებით, ყველა პოეტს ქვეყნის საჭიროება აღონებს და აწუხებს. — იგი ღელავს მაღლიანს, სარგებლიანს კაცთა ერთმანეთზე დამოკიდებულებას და სარგებლიანს ცხოვრებას... ხელოვნება ქვეყნის საჭიროებას თან მისდევს".

იბრძვის რა „წმინდა ხელოვნების" დამცველთა წინააღმდეგ, ვაჟა-ფშაველა ამავე დროს იცავს მაღალ-იდეურ ხელოვნებას, რომელიც გამოხატავს ხალხის ცხოვრებას. „მწერლის სულის და გულის ქონა იქიდამა სჩანს, აქვს რაიმე იდეალი, უყვარს რამე ამ ქვეყანაში, უნდა ქვეყნისათვის, ცხოვრებისათვის სიკეთე, თუ არა. თავისთავად აზრი [illegible]

ლიტერატურის პრინციპებზე მდგარი მწერლისათვის.

[illegible]

ვაჟა მართებულ მოსაზრებას გამოსთქვამს მწერლის ენის ხალხის ენასთან ურთიერთობის თაობაზე. „ხალხი, ერი დედაა ენისა, იგი ჰბადებს და ჰზრდის ენას, როგორც დედა შვილს". ეს აზრი შემთხვევით არ წამოუყენებია ვაჟა-ფშაველას. ის არის ქვაკუთხედი მისი შეხედულებებისა. ლიტერატურული ენა არის შემოქმედებითი ათვისება და განვითარება მდიდარი ხალხური ენისა.

შალვა რადიანი

სურათზე: ვაჟა-ფშაველა _ თავისი ოჯახით. 1907 წელი.

ვაჟა-ფშაველა, პირველ ყოვლისა, აზრის მხატვარია. ორიგინალური, მარტივი ფორმით ღრმა აზრის გამოხატვა მისი შემოქმედების ნიშანდობლივი თვისებაა. ამ მხრით ვაჟა ახლოს დგას ქართულ სამოციანელებთან. [illegible]





სურათებზე: ილუსტრაციები ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების მიხედვით. მხატვარი თ. ყუბანეიშვილი.

ბუნება და ადამიანი ვაჟას შემოქმედებაში

[illegible]

ვაჟა-ფშაველას ათეისტური შეხედულებანი

[illegible]

(დასასრული მე-4 გვ.)

ამბერკი ბაჩეჩილაძე

იოსებ გრიშაშვილი

სახალხო მგოსანი

ნახევარ საუკუნეზე მეტხანს უმღერა შთაგონებით იოსებ გრიშაშვილმა სამშობლოს, მან თავისი სათქმელი სთქვა, ხალხის სამსახურის მძიმე ტვირთი ბოლომდე მიიტანა და ახლა ვალმოხდილი მიდის ჩვენგან.

იგი ქართული ლექსის განახლებისათვის ერთერთი პირველი მებრძოლი იყო და მისი ლექსები პატიოსანი თვლებივით ამშვენებენ მეოცე საუკუნის ჩვენს პოეზიას.

გრიშაშვილი ხალასი, ზეშთაგონებული ნიჭით დაჯილდოებული პოეტი იყო, თავის დიდ ნიჭიერებას მან დაუცხრომელი შრომა შეაშველა, გონებისა და ცოდნის ბატონობის საუკუნეში გზა თითქმის სკოლის დაუხმარებლად გაიკვლია და ქართული სიტყვის რაინდულ სიყვარულში მართლაც გმირული თავდადების მაგალითი გვიჩვენა.

ცხრაასიანი და ოციანი წლების დასაწყისში, როცა ქართულ მწერლობას უცხოეთის გავლენები მოეძალა, გრიშაშვილმაც გაიარა იმ გავლენების ხარკი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სხვა პოეტებივით თვალით უნახავ უცხო ქვეყნების ნაცვლად თავის აშაშხანას და ნარიყალას უძღვნა დაუვიწყარი ტრიოლეტები.

იოსებ გრიშაშვილი თბილისის ტრუბადური იყო და მისი პოეტური შედევრები სწორედ თბილისის სიყვარულითაა შთაგონებული.

მშობლიურ ქალაქზე მისებრ უსაზღვროდ შეყვარებული მგოსნები, ძველად, თბილისის კართან კვდებოდნენ ხვარაზმელთა თუ მონღოლთა, თურქთა თუ სპარსელთა ისრებით განგმირულები, ან კიდევ აბო თბილელივით იფერფლებოდნენ და შთამომავლობას სიყვარულის ერთგულებისა და რწმენის ურყევობის გაკვეთილს გადასცემდნენ.

ი. გრიშაშვილი აბო თბილელის სულიერი ნაშიერია და ამ დიდი წინაპრის შუქი მის პოეზიას შორეულად თან სდევს და ათბობს.

ვინც საიათნოვას ხმებითა და ფიროსმანის ფერებით მოჯადოებულა, გრიშაშვილის პოეზიაში იმ ხმებისა და ფერების ახალ თავისებურ გამოძახილს აღმოაჩენს და სამუდამოდ მათ ტყვეობაში დარჩება.

მაგრამ გრიშაშვილი მარტო ძველი თბილისის მგოსანი როდი იყო. იგი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით ჩვენი ცოცხალი თანამედროვე, ჩვენი ლხინისა და ჭირის მოზიარე იყო და მის ლექსებში ღრმად აღიბეჭდა, როგორც ჩვენი გამარჯვებების, ისე მძიმე ომით დათესილი დღეების კვალი.

გრიშაშვილი საყვარელი მეგობარი იყო.

ამიტომ ატკინა მისმა სიკვდილმა გული მის უთვალავ თაყვანისმცემლებსა და მთელს ერს, რომელმაც ოფიციალურ დადასტურებამდე ბევრად ადრე აღიარა იგი თავის სახალხო მგოსნად.

გრიგოლ აბაშიძე

გამოსათხოვარი

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ სამუდამოდ დაგვშორდა ქართული პოეზიის ბრწყინვალე წარმომადგენელი იოსებ გრიშაშვილი. დაგვშორდა ჩვენი საყვარელი სოსო, უფროსი ძმა და მეგობარი, კეთილშობილი, თავისებურად მიამიტი, ქართული სიტყვის დაუღალავი მოამაგე და მოტრფიალე.

ი. გრიშაშვილი იყო ქართული ლექსის რაინდი, რითმის ვიზიონერი და პოეტური მუსიკალობის მესაიდუმლე. იგი, როგორც მომღერალი, აღიზარდა და დავაჟკაცდა ძველი თბილისის წიაღში და თავისი დიდი, მოწკრიალე ნიჭი თბილისის უბნებზე სიმღერას შეალია. მისი საყვარელი პოეტები მარტო ჩვენი ქალაქის ბოჰემის მომღერლები კი არ იყვნენ, არამედ საიათნოვა, გრ. ორბელიანი და აკ. წერეთელი. იგი პოეზიაში კეთილშობილი სიმსუბუქის, ხალისიანობის და სიცოცხლის უშუალობას ქადაგებდა. მას უყვარდა თავისებური ხალხური არტისტულობაც პოეტური წრის მანერაში, ლექსის კითხვაში და კერძო საუბარშიც.

„შეითან ბაზრის ტრიოლეტების" ავტორი პოეზიაში კოლორიტს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა და თვითეულ ნაწარმოებში ეროვნული იერი შეჰქონდა. თავისებური იყო იოსებ გრიშაშვილის ლექსი. იგი გამოირჩეოდა შთაგონებული სილაღით და ელვარებით. მას განსაკუთრებით უყვარდა ძველი თბილისი, ძველი წიგნები, ძველი ქართული საკრავები, ხალხური პოეზია და არქივებში შეყვითლებული ხელნაწერების ძიება. მისი პიროვნული ბუნება მთლიანად გათქვეფილი იყო შემოქმედების — შრომაში. იგი უპოეზიოდ თითქმის არ ცხოვრობდა. სტრიქონებს მუდამ კრიალოსანივით ათამაშებდა და შთაგონებას იშვიათად ეთიშებოდა.

სიმონ ჩიქოვანი

ოქროყანა

თეატრის დიდი მეგობარი

წითელარმიელის „მერცხლით" და 44 ნომრიანი „ბათინკებით" ავლაბრიდან დავეშვი. მივეშურებოდი იქითკენ, სადაც უნდა გადაწყვეტილიყო ჩემი ბედი. ქუჩაში ტუზების ცხრილით ტაქტს ვითვლიდი. [illegible] რუსთაველის თეატრის შენობას მივადექი. აქ იყო პროფ. აკ. ფაღავას დრამატული სტუდია. [illegible] დარბაზში მაგიდასთან, ცენტრში მოჩანდა კ. მარჯანიშვილის ელვარე თვალები.

საზეიმო განწყობილებაა. ზოგნი დაკვირვებით, ზოგნი გაკვირვებით, ზოგნი ღიმილით შემომცქეროდნენ. ზოგს ღიმილიც არ შორდება. დაიწყეს: ვინა ხარ, რა ხარ, და გაისმის ჩემი ხმა:

> ახალი ლექსით მოგესალმებით, ახალი ლექსით,
> ერის ღირსება, ერის სიბრძნევ, ერის სიმბოლო,
> ის უკვდავია ვით მთის ბექზედ ლურჯი ნისლი,
> მას დასაწყისი არ ჰქონია, არც აქვს ბოლო.

სოსო გრიშაშვილის ლექსით წარვსდექი და ეს ლექსი ტკბილად დასრულდა. გამოცდების დამთავრებისას გამამხნევეს. არ ვიცი სოსო გრიშაშვილის მშვენიერმა ლექსმა მიმიღეს, თუ ჩემმა „მადლობამ" [illegible].

ამ ლექსით [illegible] 1923 წლის ზაფხულის დღეები. [illegible] სოსო გრიშაშვილი [illegible].

ხშირად ვხვდებოდით ლიტერატურულ-მხატვრულ საღამოებზე, რომლის ავან-სცენაში, დასის [illegible] საყვარელი მგოსანი სოსო გრიშაშვილი.

მახსოვს, ალ. ჩერქეზიშვილმა „საღამო" გამართა და ვ. გუნიასთან ერთად, ჩვენ, სტუდიელები, მონაწილეობდით. [illegible] როლი დამავალეს „ხანუმაში". ს. გრიშაშვილის მონაწილეობით. ვ. გუნიასა და ალ. ჩერქეზიშვილის [illegible] ანსამბლის [illegible]. ვის დაავიწყდება ს. გრიშაშვილის ყოველწლიური საღამო-კონცერტები, საოპერო თეატრში რომ იმართებოდა. ნამდვილი დღესასწაული იყო. მასში მონაწილეობდნენ თბილისში მყოფი გასტროლიორებიც და ადგილობრივი ძალებიც. მახსოვრობაში დამრჩა [illegible] და ორლოვას „ფრანსუაზა" [illegible] (სამხატვრო თეატრი), ი. [illegible] დუეტი, ახალგაზრდა მ. ჭიაურელის [illegible], ალ. იმედაშვილის [illegible] მონოლოგი შექსპირიდან, ბოლოს, ჩვენი ხალხური „მზეო, ამოდი, ამოდი" და ვანო სარაჯიშვილი. ვანომ იმღერა ამ საღამოსათვის კომპოზიტორ თამარ ვახვახიშვილის მიერ გრიშაშვილის ლექსზე დაწერილი რომანსი „ლურჯი ხარი". კულისებში [illegible] იყო, რომ ვანომ მეტი უმღერა, [illegible]. ბოლოს ყველასთვის საყვარელი, პოპულარული სოსო თავისი ახალი შემოქმედებითი ანგარიშით, თავისებური, გრიშაშვილისებური მანერით დაწერილი ახალი ლექსებით და პოემებით... დაუვიწყარი [illegible] და საერთო აღტაცება. [illegible]

ვის დაავიწყდება ქართული თეატრის „[illegible]" — კ. მარჯანიშვილის „ცხვრის წყარო", [illegible] თვალებზე ცრემლმორეული საყვარელი სოსო გრიშაშვილის პარტერში [illegible] გულის ნაცემი. მისთვის თეატრი ყველაფერი იყო. ის ხომ თეატრში დაიბადა, თეატრით [illegible]. სოსო გრიშაშვილისთვის თეატრი სიყვარული იყო, თეატრის შემოქმედნი კი — საყვარელი არსებანი. ძნელად თუ ვინმეს დაეთმობოდა ამ სიყვარულს.

მასთან საუბარი, ხშირად მისი მონათხრობი, ტკბილი მოგონებანი თეატრზე — ეს იყო მთელი სკოლა.

რამ მიიზიდა, ანდა რამ გამოიწვია ლიტერატურული ბოჰემიდან „ძველ თბილისში"? არა ძველი თბილისის წარსულის [illegible], არამედ მისმა [illegible], მისმა წმინდა ქართულობამ, და, რაც მთავარია, [illegible].

თუ კი რუსეთის გამოჩენილი მსახიობები [illegible] „მოსკოვლებით", „[illegible]", ან ფრანგი მსახიობები პარიზის „[illegible]" [illegible] ძველი თბილისის [illegible], გულმართალი, [illegible] რაინდი [illegible].

აკი კოტე მარჯანიშვილმა ბრწყინვალედ გამოიყენა „ძველი თბილისი" ანტონოვის პიესის „მზის დაბნელება საქართველოში" დადგმისას. მეორე აქტის წინ პორტალზე [illegible] გამოწყობილი, მუსიკის თანხლებით ვკითხულობდი „ძველ თბილისს", [illegible] სიტყვის [illegible].

მსახიობის გონებაში [illegible] სოსო გრიშაშვილის თარგმნილი ტექსტი ბომარშეს „ფიგაროს ქორწინებიდან".

გულს მწყვეტს ძვირფასი, დაუვიწყარ და განუმეორებელ სოსო გრიშაშვილთან სამუდამოდ განშორება. იყავი ტკბილად, როგორც ტკბილი იყო შენი ლექსი, შენი ქართული სიტყვა, შენი შეუდარებელი სიყვარული ქართული თეატრისადმი. ლექსი და თეატრი ყველაზე ძვირფასი იყო სოსო გრიშაშვილისათვის და ჭეშმარიტად მათ შეალია მან მთელი თავისი სიცოცხლე.

ვასო გოძიაშვილი,

სსრ კავშირის სახალხო არტისტი

სურამში: (მარცხნიდან მარჯვნივ) იოსებ გრიშაშვილი, პაოლო იაშვილი, მარიჯანი და შალვა დადიანი მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობაზე. 1934 წ.

დაუვიწყარი სახელი

წავიდა ჩვენგან გამოჩენილი პოეტი, ქართული სიტყვის დიდი ოსტატი, დაუცხრომელი მკვლევარი და ლიტერატურის ისტორიკოსი იოსებ გრიშაშვილი. მაგრამ, ასეთ წასვლას წასვლა არა ჰქვიან! სად უნდა გაიარო თბილისში, რომ გრიშაშვილის სახელი, მისი ფრთიანი სტრიქონი არ გაგახსენდეს. მან ხომ მთელი გულით, მთელი გატაცებით უმღერა დედა-თბილისს ფართოდ გადაშლილ ახალ პროსპექტებსა და მოედნებს, მისი ლექსის ხმატკბილი მელოდია შემოგესმებათ ყველგან — ახალ უბნებშიც და ძველ თბილისშიც, მტკვრის ციცაბო კლდეზე, ანჩისხატთან, მეტეხთან, სიონთან, ათასნაირად ჩახლართულ ქუჩაბანდებსა და მერცხლის ბუდეებივით მიკრულ სახლებთან... მთელ ამ მიდამოს ცოცხლად შეუნახავს მადლი და ლაზათი მისი სიტყვისა.

ი. გრიშაშვილის პოეზიაში იგრძნობა ისეთი გადამდები ტრფიალი სამშობლო მიწისადმი, რომელიც კაცს მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვება. ერთ ლექსში მას ნათქვამი აქვს: „მიყვარს თბილისი, ირაკლივით მუდამ მშფოთვარე და მსურს აქ მოვკვდე, რომ მისი მზე სწვავდეს ჩემს კუბოს". ი. გრიშაშვილის პოეზია რთული და მრავალფეროვანი სამყაროა, მეტად თავისებური და საინტერესო. პოეტმა ღირსეულად დაიმსახურა ქართველი ხალხის საყოველთაო სიყვარული იმ ქმნილებებისათვის, რომლებშიც გატაცებით უმღერა ჩვენს ისტორიას, ჩვენს აწმყოს, ჩვენს საბჭოთა ეპოქას.

მადლიერი ქართველი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს ამ შესანიშნავი პოეტისა და მკვლევარის სახელს.

გიორგი ნატროშვილი

უკანასკნელი აღმართი

მგონია, რაღაც მოაკლდა თბილისს, —
ვაი, გძინავს და არ გეღვიძება...
გათხრილა შენი სამარე გრილი,
კუბო და ცრემლი მზეში იწვება.

ვეღარ ჩაუვლი რუსთაველის გამზირს,
ვეღარც ხარფუხის აღმართს აივლი,
გარინდებული ამ მტკვრით და ამ მზით
მიმქრალა შუქი შენი აივნის.

... ოთხს წინ იყო, ისე ვით მამამ
დამლოცა ბავშვი ამ აივანზე,
მე შევხაროდი შენს ღიმილს ლამაზს,
მათბობდა გული ნექტარით სავსე.

არ მღირსებია მე დატირება
სადღაც დაკარგულ ღვიძლი მამისა,
დღეს კი... ცრემლები მეპატიება, —
შენმა სიკვდილმა ულმობლად დამწიხლა.

სიცოცხლეში რომ ვერ გითხარ ლექსი,
ძლივსღა ვახერხებ
ამ მცირე სათქმელს.
შენ ხალხში დაგრჩა უკვდავი ფესვი,
შაბაშ შენს სიტყვას!
შაბაშ შენს საქმეს!

გული აღანთე, ლექსი აღმართე
მთად
და რეკავენ შენი სიტყვები,
შენ აიარე ბევრი აღმართი,
დღეს უკანასკნელ აღმართს მიჰყვები.

მსუბუქად ახდევ ამ ბოლო აღმართს,
ყველაზე მაღალს, ყველაზე მძიმეს...
გზა მშვიდობისა!
ათას წლის გაღმაც
შენს ჩანგს სიკვდილი
ვერ დაჰკლებს სიმებს.

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

იოსებ გრიშაშვილი

თბილისის უბადლო ტრუბადური

ქართულმა პოეზიამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ლექსის შესანიშნავი ოსტატი, მეცნიერი და ღვაწლმოსილი საზოგადო მოღვაწე იოსებ გრიშაშვილი, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია თანამედროვე ქართული პოეზიის განვითარება.

იოსებ გრიშაშვილმა, როგორც დიდი ნიჭის შემოქმედმა, წარუშლელი კვალი დატოვა ქართულ პოეზიაში. იგი იყო ახალი საქართველოს გულწრფელი მომღერალი და ჩვენი თბილისის უბადლო ტრუბადური. განსაკუთრებით მძიმეა მისი დაკარგვა ჩვენთვის, ქართველი პოეტებისათვის, რომელთა რიგებსაც ამშვენებდა მისი სახელი. სოსო გრიშაშვილი — ეს დიდებული პოეტი, გულისხმიერი და გულითადი მეგობარი, სპეტაკი და უანგარო ადამიანი მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობით სანიმუშო იყო ჩვენთვის.

გრიშაშვილის თვალწინ აღიზარდა მრავალი თაობა ქართველი პოეტებისა, რომლებიც დიდად დავალებული არიან მისგან. მან დიდი ღვაწლი დასდო ქართული ლიტერატურის ისტორიის კვლევის საქმეს, მრავალი ძვირფასი განძი გამოამზეურა და ხალხის საკუთრებად აქცია.

სოსო გრიშაშვილი ჭეშმარიტად სახალხო პოეტი იყო და თავის სიცოცხლეშივე ერგო წილად ხალხის დიდი სიყვარული და პატივისცემა. და ახლა ჩვენგან მიდის ღვაწლმოსილი და ვალმოხდილი შემოქმედი, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ქართული კულტურის განვითარებისათვის.

მოწიწებით ვხრი თავს მისი ცხედრის წინაშე.

რევაზ მარგიანი

ძველი თბილისის მემატიანე

მე არ მინდა ვიხმარო სიტყვა „იყო". ჩვენი საყვარელი სოსო სიცოცხლის დაუშრეტელი მეხოტბეა. დიდი შემოქმედი, მოუსვენარი მკვლევარი, მუდამ მჩქეფარე, მუდამ მღელვარე და გატაცებული.

იგი ჩვენი წარსულის მოტრფიალეა. მახსოვს, როგორ განიცდიდა მეტეხისა და მისი მიდამოების დანგრევას, როგორ შემოიკრა თავში ხელი და წამოიძახა: „ვაჰ მე, ნახე, როგორ დაამახინჯეს ჩვენი მეტეხი?"

ბევრჯერ გვივლია ერთად ძველი თბილისის ჩახვეულ ქუჩებში. დავმტკბარვართ მისი განსაკუთრებული ენით, რომელიც მარტო თბილისისათვის არის დამახასიათებელი. ქალაქის მშვენებით მოხიბლული სოსო თავის ლექსებს ჩუმად ღიღინებს. როგორ უხდება ერთმანეთს გრიშაშვილის პოეზია და ძველი თბილისი!

მას შემდეგ მათი ურთიერთობის წარმოდგენა ძალიან მიჭირს. ახლაც, როცა ისევ და ისევ ძველ თბილისს ვხატავ, — პეიზაჟში სოსოს ლექსია ჩაქსოვილი, მის სუნთქვასა ვგრძნობ.

ძველი თბილისი და სოსო გრიშაშვილი დიდი სახატო თემაა ქართველი მხატვრისათვის.

ვფიქრობ, მისი ღირსეული განხორციელება ჩვენი ვალია.

ელენე ახვლედიანი,

საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი

ჩემი სოსო

ჩვენგან წავიდა იოსებ გრიშაშვილი, ჩვენი საყვარელი თბილისის, მისი მომხიბლავი ცისა და წყაროების შეუდარებელი მეხოტბე. იგი თავს დასტრიალებდა ხარფუხს, აშაშხანას, ნარიყალას, მეტეხს, ამ ქვითკირს, ამ კლდეებს, ამ ნანგრევებს ისე კითხულობდა, როგორც არავინ.

კლდის ქიმებზე შეფენებულ ქართველ მეომართა სისხლსაც ამჩნევდა. ნარიყალაში, ხარფუხში გაზრდილი პოეტი თავის მგზნებარე ხმას აწვდიდა მთელ ქართველ ხალხს. ჩაუვლიდა აბო თბილელის ნიშს, ჩაშტერდებოდა ავლაბრის მძლავრ მორევს და იქიდან მარგალიტებივით მოჰქონდა თავისი უკვდავი ლექსები. ალბათ თავბრუ ეხვეოდა, თრთოდა, აღტაცებული აღელდებოდა, როგორც ქნარი. იგი ძვირფასი თვალივით ეძებდა ქართულ სიტყვას, რომ შეემკო თავისი საყვარელი თბილისი.

ჩემო საყვარელო სოსო, წახვედი შენ, მაგრამ შენნაირი ადამიანები არასოდეს არ მიდიან. მე შენ აი, ახლა, დღესაც ცოცხალს გხედავ, ვხედავ შენს მომღიმარე სახეს. მგონია, რომ დღეიდან უფრო მგზნებარედ იმღერებ. შენი ლექსები ხომ უკვდავია და მათ თან, დღითი დღე უფრო მეტი შარავანდედი მოეფინება.

რა კარგი გზა გაიარე, სოსო, რა ბედნიერი იყავი, სოსო, რა საყვარელი იყავი სოსო!, როგორ გვახარებდა შენი გამოჩენა საზოგადოებაში, თეატრში. რა მოუთმენლად ელოდა ხალხი შენს ყოველ გამოსვლას, შენს სიტყვას, შენს მუსიკალურსა და მგზნებარე ლექსებს, შენს ყოველ სტრიქონს. მე ხშირი მოწმე ვიყავი შენი ტრიუმფალური გამოსვლებისა.

შენ შექმენი არა მარტო ახალი ლექსი, არამედ ახალი ლექსთწყობაც.

ბედნიერ წერაო: დიდი შემოქმედის სახელს დიდების შარავანდედი ადგასო. ამ დიდებით მოიფინება შენი სახელიც, სოსო!..

მიხეილ ჭიაურელი,

სსრ კავშირის სახალხო არტისტი

სამუდამო სიცოცხლის ბეჭედი

აღარა გვყავს ქართული საბჭოთა პოეზიის მშვენება, დიდებული პოეტი და ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი შინაარსიანი სიცოცხლე ქართული კულტურის აღორძინების საქმეს შესწირა. იოსებ გრიშაშვილი [illegible] უანგაროდ ემსახურებოდა ქართულ ლიტერატურას.

გრიშაშვილი განა მარტო თავისას ქმნიდა? არა, ის აგროვებდა, ეძებდა, ცდილობდა, თვალმარგალიტივით აგროვებდა და სამუდამო სიცოცხლეს ანიჭებდა ჩვენი წარსულისა თუ აწმყოს ლიტერატურულ ქმნილებებსა და მათს ავტორებს. აგროვებდა და უნახავდა თავის ხალხს ყველაფერს, რასაც რაიმე ლიტერატურული ღირებულება აქვს და შესაძლოა ქვეყნის მომავალშიც. ბევრის გაკეთება მოასწრო იოსებ გრიშაშვილმა თავისი სიცოცხლის მანძილზე, რაც გააკეთა, მას სამუდამო სიცოცხლის ბეჭედი თვითვე დაასვა და თვით პოეტიც სამუდამოდ იცოცხლებს ყველა მისი მეგობრისა და ხალხის გულში!

მშვიდობით პოეზიის ცეცხლით [illegible] ჩვენო საყვარელო იოსებ!

და, შენმა უკვდავებამ ჩვენც ლიტერატურული სიცოცხლე [illegible]!

იაკინთე ლისაშვილი

სურამში: ლევით ჩხეიძე, დოდო ანთაძე, უშანგი ჩხეიძე, იოსებ გრიშაშვილი, კოტე მარჯანიშვილი და ნიკოლოზ გოძიაშვილი. 1938 წელი.

განუმეორებელი

კიდევ ერთი მძიმე ფუტკარი დაკარგა ქართულმა მწერლობამ. [illegible] გრიშაშვილი საკუთარი ხმით მღეროდა ქართულ პოეზიაში და მის მიერ დატოვებულ თაფლს თავისი სურნელება აქვს. ის არც ცისფერისაა და არც მთის ყვავილებისა,— ის გრიშაშვილისებურია და განუმეორებელი.

ყველა პოეტურ ქალაქს თავისი მომღერალი ჰყავს. პუშკინი პეტრეს ქალაქსა და ნევას უმღეროდა, ბოდლერი პარიზსა და სენას, გრიშაშვილი თბილისს და მტკვარს, პოეტს თავისი საქართველო უყვარს და თბილისი საქართველოს გადასახედ მიაჩნია: „საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი შიგ ჩასმული თვალია".

გრიშაშვილი თბილისია თავისი განუმეორებელი სურნელებით. გრიშაშვილი თბილისის ქუჩებზე სადღაც ფიროსმანთან დადის. ამ თბილისსა და დუქნის [illegible] — როგორ აიყვანა ნიკალამ საერთაშორისო ასპარეზზე ფერი და რად იღვრებოდნენ თბილისელი მეზურნეები ანა ფერდიაშვილისა და დუქნის ხმაზე.

სწორედ ქართული ფრესკა და თბილისური [illegible] ჩვენს მხატვრულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში. მაგალითად ერთი განშტოება ამ მრავალფეროვნებისა, ხაზი ერთი პლასტიკური ნათესაობისა, ხაზი ფიროსმანაშვილის, გრიშაშვილის, გუდიაშვილის, ვერიკო ანჯაფარიძის, გიორგი შავგულიძის — ჯერ კიდევ შეუსწავლელია და მისი [illegible] გაუგებრობა იქნებოდა. როგორც მე-19-ე საუკუნის დასაწყისში, [illegible] გრიშაშვილი [illegible].

გულსაკლავია,, რომ სოსო გრიშაშვილი ჩვენგან წავიდა, მაგრამ სამაგიეროდ, ფიჭა სავსე დაგვიტოვა თაფლით.

მიხეილ მრევლიშვილი

ჩვენი მასწავლებელი

იოსებ გრიშაშვილი ჩვენს ლიტერატურულ ახალგაზრდობას მარტო თავისი წარმტაცი მომღერალი ლექსებით, უბადლო ლიტერატურული გამოკვლევებით და ქართული წიგნისადმი მოუწყენარი ტრფიალით კი არ ზრდიდა, არამედ სამშობლო ქვეყნისადმი და თავისი ერის პოეზიისადმი თავდავიწყებული სიყვარულის მაგალითითაც.

იგი მუდამ დიდი მეცენატი და [illegible] იყო ახალგაზრდა მწერლებისა; ვისაც კი ნიჭს შეამჩნევდა, ყველას გულწრფელად მფარველობდა, არიგებდა, ამხნევებდა, მწერლებსა და რედაქტორებს აცნობდა, საჯაროდაც არ იშურებდა მათს სამართლიან ქებას.

დიდი ბედნიერება მხვდა წილად სიჭაბუკიდანვე, 30 წლის განმავლობაში, მის პოეტურ ცხოვრებასთან ახლო ვყოფილიყავი და ბევრი მისი ტკბილი და საგულისხმო საუბარი მომესმინა. ის ჩემს წინაშე... ხან ბრძენი იყო, ხან დიდი ბავშვი, ხან მამასავით მარიგებდა, ხან კი თანატოლივით [illegible], ზოგჯერ ძველ ამბებს გაიხსენებდა და თავისი გულის ხვედასაც გამიმხელდა. მასთან ყოფნისას მუდამ [illegible] ვგრძნობდი თავს, მისგან ყოველთვის სულიერად ამაღლებული ვბრუნდებოდი.

ვფიქრობ, ყველას ასე ეგონა, ყველას კი მასთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა.

დიდი საყვარელი, რომელიც იოსებ გრიშაშვილმა ხალხში დაიმკვიდრა, არ იყო მარტო მისი პოეზიის ძლიერებით განპირობებული, მას [illegible] უანგარო საზოგადო მოღვაწეობა და უშრეტელი მოქალაქეობრიობა. იგი ხალხის მიმართ [illegible] გულწრფელი იყო და ხალხმაც ამიტომაც ასე გულწრფელად შეიყვარა.

დასანანია, დიდად დასანანია ასეთი კაცის წასვლა ქართველ მწერალთა რიგებიდან. მაგრამ უფრო დასანანი ის არის, რომ მისი ცხოვრების უკანასკნელი წლები მეტად მძიმე იყო. უკურნებელმა სენმა სიცოცხლეშივე მოსწყვიტა იგი საყვარელ საქმეს და სიკვდილშიც მწარედ აწვალა დიდხანს, ალბათ იმისათვის, სიცოცხლეს ასე ბევრს და ასე კარგად რატომ უმღეროდა.

მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო და საყვარელო მასწავლებელო!

ანდრო თევზაძე

მთაწმინდისაკენ მიემურები

ხარფუხი დარდის ბადეებს
მოქსოვს,
ქროლა დაუვლის მეტეხის
ფუძეს.
შენ მიგაცილებს თბილისი,
სოსო,
რომლის სიყვარულს სიცოცხლე
უძღვენ.

მთაწმინდა შენს გზებს
აფერადებს,
დედაქალაქის დიდების მცველი
და სამარეში კინტოს პერანგზე
ღვინის მაგიერ ეღვრება
ცრემლი.

დადუმდა გული, სულ რომ
მღეროდა,
სათავე ძმობის, სათავე ეშხის,
მტევანივით რომ იწურებოდა
თბილისის, ბაქოს, ერევნის
მკერდში.

მტკვარი მწუხარედ მიარწევს
ტალღას,
შენ კი ვერ ისმენ, ვაგლახ, მის
დუდუნს.
დაე, იცქნესონ, უხდება ახლა
ტირილი ერლანს, თარსა და
დუდუკს.

მზე ჩაქრა სულის
ბედეშურებში?
ვერ დავიჯერებ ზაფხულის
დილით.
მთაწმინდისაკენ მიემურები,
რომ უფრო ტკბილად უმღერო
თბილისს.

ვახტანგ გორგანელი

ვაჟა-ფშაველას ათეისტური შეხედულებანი

ვაჟას საფლავი მთაწმინდაზე.

ვაჟა-ფშაველას სახლი ჩარგალში.

(დასასრული)

ლების დაკმაყოფილებისათვის ადამიანის ბრძოლას. ფშაველს, — აღნიშნავს ის, — „მგონია, ნადირსაც თავისი საკუთარი პატრონი ჰყავს. ის ევედრება ნადირთ პატრონს, წარმოიდგენს იმას პატარა ქალად, რომ ხელი მოუმართოს". (იქვე, გვ. 11).

თუ რამდენად სწორად და ღრმად არის გაგებული ზემოთ მოყვანილ ციტატებში პირველყოფილი რელიგიის წარმოშობის მიზეზები, აშკარა ნათელ წარმოდგენას მოგვცემს იმავე საკითხზე გამოთქმული ვ. ი. ლენინის შემდეგი სიტყვები: „...ველურის უძლურება ბუნებასთან ბრძოლაში წარმოშობს ღმერთთა, ეშმაკთა, სასწაულთა და სხვათა რწმენას" (იხ. თხზ., ტ. 10, გვ. 85).

საიქიოს შესახებ ვაჟა-ფშაველას მსჯელობაში რელიგიური ცრურწმენების წარმოშობა კიდევ უფრო ნათლად არის დაკავშირებული მატერიალური მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის ადამიანის ბრძოლასთან.

ცნობილია, რომ თითქმის ყველა რელიგია თავიდანვე აღიარებდა საიქიოს, როგორც ადამიანის გარდაცვალების შემდეგ ე. წ. სულების მუდმივ სამყოფელ ქვეყანას. ვაჟას აზრით, ველურ ხალხებში ასეთი რწმენის წარმოშობის მიზეზი ის არის, რომ ველური ადამიანი, რომელსაც ბუნებასთან ბრძოლაში უჭირდა საარსებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, თავს იმით ინუგეშებდა, რომ მისი სული, მეორე „მე" თითქოს არსებობას განაგრძობდა საიქიოში, სადაც ყველაფერით იქნებოდა უზრუნველყოფილი. თანაც საიქიო ველურს წარმოდგენილი აქვს ხორციელად, რადგან „განუვითარებელი [illegible] ხნის და თვით მისი ნატვრა სულისა ხორციელად კმაყოფილების გარეშე არ გადის".

ამასთანავე, ვაჟა აღნიშნავს, რომ ასეთი რწმენა დამახასიათებელი იყო განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფი ყველა ხალხისათვის, შორეულ წარსულში იყო ეს თუ თანამედროვე ეპოქაში. მისი გაგებით, ეს იმით აიხსნება, რომ „კაცთა ნათესაობის გონება ერთნაირად მუშაობდა, ერთნაირად მგრძნობდა. თავთავისთვის შეწუხებულნი, როგორც ამერიკის ველური კაცი, ისე ავრიკისა. ცალკ-ცალკე დაშორებულად მცხოვრებნი ცალკ-ცალკე ჰფიქრობდნენ, მაგრამ ერთნაირად კი. ავრეთვე იქცეოდა ჩვენი ფშაველიც" (თხზ. სრ. კრ., გვ. 82). მაშასადამე, ვაჟას მართებული გაგებით, სხვადასხვა ხალხების რელიგიურ შეხედულებათა ერთიერთი მსგავსება, უწინარეს ყოვლისა, იმით აიხსნება, რომ ბუნებასთან ბრძოლა პირველ ხანებში ყველა ხალხს ძირითადად ერთნაირ პირობებში უხდებოდა. ამიტომ გარემომცველ სინამდვილეზე მათი შეხედულებები, მათ შორის, რელიგიური წარმოდგენებიც, ძირითადად ერთნაირი იყო.

ამგვარად, ვაჟა-ფშაველა პირველყოფილ რელიგიას განიხილავს როგორც ისტორიულ აუცილებლობას, როგორც კანონზომიერ მოვლენას და ყველა ხალხისათვის დამახასიათებელ ატრიბუტს საზოგადოებრივი განვითარების პირველ საფეხურზე.

ვაჟას ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარეობს მეორე დასკვნაც: საბოლოო ანგარიშით ყოველგვარი ზებუნებრივი ძალების არსებობის რწმენა მიწიერ ნიადაგზე, თვით ადამიანთა წრეში წარმოიშვა. ყველგან, სადაც ვაჟა აღწერს ფშავ-ხევსურეთში გავრცელებულ ცრურწმენებს, გვიჩვენებს მათი წარმოშობის ანთროპომორფისტულ შინაარსს. მაგალითად, მონადირე, „ნადირთ პატრონს წარმოიდგენს პატარა ქალად" და ევედრება თავის წარმოდგენაში არსებულ კერპს, რომ ხელი მოუმართოს. მაშასადამე, რწმენა ნადირთ პატრონზე ზებუნებრივი კი არ არის, მიწიერი, ადამიანური შინაარსისაა.

ვაჟას განმარტებით, ასევე ანთროპომორფისტულია ადამიანის მიერ დევების, როგორც ბოროტი სულების წარმოდგენა. „ფშაველის წარმოდგენით დევი არის აზოვანი, ტანი ხშირის ბალნით აქვს შემოსილი... დევი კაცს ჰგავს სახით, მაგრამ მისი სახე უშნოვნია" (იქვე, გვ. 68). ამ მსჯელობიდან აშკარაა, რომ ვაჟას თვალსაზრისით რელიგია არის გარემო სინამდვილის ფანტასტიკური, დამახინჯებული ასახვა.

ამგვარად, ვაჟას კარგად ესმოდა, რომ მორწმუნე ადამიანი სხვას არაფერს წარმოიდგენდა, თუ იმას არა, რასაც თვალით უხსავს გარემო სინამდვილეში.

ვაჟა-ფშაველამ თავის შემოქმედებაში დიდი ადგილი დაუთმო რელიგიის რეაქციული არსის გაშუქებას. იგი კარგად ხედავდა, თუ რა გავლენას ახდენდა მშრომელთა გაღატაკებაზე მათ მიერ რელიგიური დღესასწაულების გადახდა და წეს-ჩვეულებების ასრულება. ჯერ კიდევ 18 წლის ჭაბუკი იყო ვაჟა, როცა ეს შენიშნა და აღწერა კიდეც ერთ კორესპონდენციაში — „წერილი ხევსურეთიდან". შემდეგში კი თავის ეთნოგრაფიულ წერილებსა და კორესპონდენციებში მან კიდევ უფრო ფართოდ გვიჩვენა ეს საკითხი. ვაჟა განსაკუთრებით მკაცრად აკრიტიკებს იმ რელიგიურ წეს-ჩვეულებებს, რომელთა შესრულებისას მორწმუნენი, ქადაგებისა და სხვათა სახით დიდ ხარჯებს ეწევიან ე. წ. სულის მოსახსენიებლად, რის შედეგადაც უაზროდ იფლანგება დიდი მატერიალური რესურსები. „მკვდრების ხათენა და პატივისცემა, — წერს ვაჟა, — კარგი საქმეა, ხოლო ეს პატივისცემა იმ ზომამდე არ უნდა მივიყვანოთ, ცოცხლები იმათ მსხვერპლად შევეწიროთ, — ეს უფრო დიდი უბედურება იქნება ჩვენი!" (იქვე, გვ. 188.) ეს სიტყვები დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას და ამხელს იმ ადამიანთა უაზრო მოქმედებას, რომლებზედაც ჯერ კიდევ ახდენს გავლენას წარსულის მავნე გადმონაშთები.

ვაჟა ამხელს ფშავში გავრცელებული ერთ-ერთი რელიგიური დღესასწაულის — ლაშარობის უარყოფით გავლენას ხალხის სულიერ და ეკონომიურ ცხოვრებაზე. ერთ წერილში („ლაშარის ჯვრის დღეობა ანუ ლაშარობა") იგი დაწვრილებით აღწერს ამ დღესასწაულის საწესო რიტუალებს და აღნიშნავს, რომ მლოცველნი დროს მხოლოდ ლოთობაში ატარებენ.

ამავე წერილში ვაჟამ ყურადღება მიაქცია იმას, რომ რელიგია იწვევს ერთი მხრივ ადამიანის ფიზიკურად დასახიჩრებას, ხოლო, მეორე მხრივ, მის სულიერ დეგრადაციას. „თუ მამაკაციანნი, — ამბობს ის, — ტანზე, პირს, საერთოდ, სხეულს ისახიჩრებენ ვედრების დროს (მახვლა-ვახვლა), ჩვენი ხალხი — გონებას და სულიერ ძალას ასუსტებს, ასნეულებს" (იქვე გვ. 202).

ცნობილია, რომ ბოროტებისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობის იდეის ქადაგებით ბევრი რელიგია გამოდიოდა. მათ შორის ბუდიზმი, იუდაიზმი, ქრისტიანობა და სხვ. ვაჟა-ფშაველა ჯერ კიდევ 1905-1907 წლების რევოლუციის წინა პერიოდში გამოვიდა ამ იდეის წინააღმდეგ. საქართველოში,— ამბობდა ვაჟა, — „ქრისტეს მცნებაც კი — ვინც ერთ ყბაზე შემოგკრავს მეორეც მიუშვირეო, — არ უნდა ავასრულოთ, ერთის დაჰკვრელს მეორე აღარ უნდა დავარტყმევინოთ. ახლოს უფრო ქვეყანას მოითხოვს ლოგიკა დღევანდელი ჩვენი მდგომარეობისა: სწორედ ამ გზას უნდა დავადგეთ ქართველობა: არაფერი წავართვათ სხვას და არც თავისი სხვას დაუთმოს" (იქვე, გვ. 466).

ვაჟა-ფშაველას ამ დებულებას თავისი დროისათვის დიდი რევოლუციური მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან იგი ამხელდა ერთ-ერთი ძირითადი და მეტად გავრცელებული რელიგიური დოგმის რეაქციულ შინაარსს, ასეთი დოგმისა, რომელიც მიმართული იყო მშრომელი ხალხის რევოლუციური ბრძოლებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ.

ამგვარად, ვაჟა კარგად ამჩნევდა იმას, რომ რელიგიური იდეოლოგიის დიდი ზიანი მოჰქონდა მშრომელი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის.

ვაჟამ გვიჩვენა რელიგიის უარყოფითი მნიშვნელობა, მკაცრად გააკრიტიკა რელიგიური კულტების მსახურნი — მღვდლები, დეკანოზები, მკითხავები, ქადაგები, ხევისბერები და სხვები. ვაჟა კარგად ხედავდა, რომ რელიგიური კულტების მსახურნი რელიგიას თავიანთი მიზნებისათვის იყენებდნენ და შეუბრალებლად ყვლეფდნენ მშრომელ ხალხს. მან ჯერ კიდევ 1881 წელს დაწერილ წერილში („ჩემი მთიდან") სარკასტულ ფორმაში ამხილა მღვდლებისა და დეკანოზების გაუმაძღრობა, რომლებიც ზედმეტ ტვირთად აწვნენ კისერზე ცრურწმენებით შეპყრობილ მშრომელებს, ხოლო 1914 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში („ეპისკოპოს ანტონის აზრი ფშავ-ხევსურთა სარწმუნოებაზე") წინ აღუდგა ქრისტიანული ეკლესიის მღვდელმთავარს, რომელმაც მოითხოვა ფშავ-ხევსურეთში მოძრავი ეკლესიის დაარსება. ვაჟა თავის მოსაზრებას იმით ასაბუთებდა, რომ ფშავ-ხევსურეთში ამ ღონისძიების გატარებას ადამიანის „ზნეობრივი ღირსება-მტკიცება და დამახინჯება" მოჰყვება მხოლოდ, ხოლო ახალს ერის ცხოვრებაში ვერაფერს შეიტანსო".

ვაჟამ იმავე სტატიაში სამარცხვინო ბოძზე გააკრა ეკლესიის მსახურნი —მღვდლები და დეკანოზები, რომლებმაც ხელი გაიწოდეს მთაში ხატობის დროს გამოყენებული ვერცხლისა და ოქროს თასები.

ვაჟა სასტიკად ებრძოდა სოფლის მღვდლებს, რომლებიც ექსპლოატაციას უწევდნენ გლეხებს. მაგალითად, როცა დიდი თონეთის ეკლესიის მღვდელი აუცილებლობით მშრომელი ხალხისაგან მოითხოვდა მის სასარგებლოდ ერთი კოდი ქერისა და ერთი კოდი პურის გადახდას, ვაჟა წინ აღუდგა ამას. — ძალიან ბევრია და საწყალ ხალხს ტყავს ნუ აძრობთ (იხ. სოლ. ყუბანეიშვილი, „ვაჟა ფშაველა", 1937, გვ. 192).

ვაჟა-ფშაველამ არც წარმართული რელიგია და მისი მსახურნი დაინდო, რომლებიც სწავლა-განათლების წინააღმდეგი იყვნენ და სურდათ ხალხი თავიანთი გავლენის ქვეშ მტკიცედ ჰყოლოდათ მოქცეული. განსაკუთრებით კარგად ჩანს ეს ვაჟას ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში („ჩემი წუთისოფელი"). იქ ნათქვამია: „ფშავის ხევს იმ დროს (ე. ი. მამამისის პავლე რაზიკაშვილის დროს — ი. ტ.) ხუცეს-ხევისბერები და მკითხავ-ქადაგები განაგებდნენ, თემთა ბატონ-პატრონნი იმენი იყვნენ, მთელი ხალხი მუჭაში ეჭირათ და [illegible] (იხ. [illegible] ტ. 1, გვ. 150).

ვაჟა-ფშაველა [illegible] რელიგიას მუდამ ცვალებადად და განვითარებადად სთვლიდა. მან კარგად იცოდა, რომ კაცობრიობის იდეალები იცვლებოდა დროის მოთხოვნილების მიხედვით. ამიტომ საზოგადოებრივი მოვლენების განხილვისას იგი ყოველთვის ხელმძღვანელობდა ისტორიზმის პრინციპით.

ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა ვაჟა რელიგიურ შეხედულებათა განხილვის დროსაც და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კაცობრიობის განვითარებამ, პირველ რიგში ტექნიკურმა პროგრესმა, ძირი გამოუთხარა ხალხის ცრურწმენებს ზებუნებრივი ძალებისადმი. „მეცნიერება სოფლის ტექნიკურმა საკვირველმოქმედებამ, — ამბობს ვაჟა, — დახსია, დაამცირავა ზეცისა-ბუნების ძალთა საკვირველება". (იქვე, გვ. 152).

ამგვარად, ვაჟას თვალსაზრისით, რელიგიის მოსპობა ისევე გარდუვალია საზოგადოების განვითარების მაღალ საფეხურზე, როგორც გარდუვალი იყო მისი წარმოშობა კაცობრიობის განვითარების ადრეულ საფეხურზე. ამასთან, ვაჟას აზროვნებაში რელიგიის მოსპობა ისტორიულად აუცილებელია და გამართლებულიც არის საზოგადოების შემდგომი განვითარებისა და ადამიანთა კეთილდღეობის თვალსაზრისით.

როგორც დავინახეთ, ვაჟა რელიგიის მოსპობის საკითხში, ხალხის განათლებასთან ერთად, დიდ ანგარიშს უწევდა საზოგადოების განვითარების ობიექტურ პირობებს, რითაც დიდად გაუსწრო ამ საკითხზე ფრანგი განმანათლებლებისა და გერმანელი ფილოსოფოსის ლუდვიგ ფოიერბახის შეხედულებებს, რომლებიც ფიქრობდნენ, რადგან რელიგია ადამიანთა უმეცრების საფუძველზე წარმოიშვა, მისი მოსპობა მხოლოდ და მხოლოდ მათი განათლების გზით შეიძლებაო.

ვაჟა-ფშაველას ათეისტური შეხედულებები უდიდესი მონაპოვარია ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. ამ შეხედულებათა გავრცელებას, რაც მაშინდელი პრესის საშუალებით ხდებოდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მასების რევოლუციური სულისკვეთების აღზრდისათვის. ეს კი ხელს უწყობდა მშრომელთა განმათავისუფლებელი ბრძოლის დიდ საქმეს.

ილია ტყეშელაშვილი

ვაჟა-ფშაველას ზოგიერთი თხზულების თარიღისათვის

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნებში, რომლებიც ახლა საჯარო ბიბლიოთეკაშია დაცული, არის ვაჟა-ფშაველას ნაწერების კრებული — „მოთხრობანი", გამოცემული 1889 წელს. ეს წიგნი პეტრე უმიკაშვილის საკუთრება ყოფილა (მაჩვენა თამარ მაჭავარიანმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ). წიგნს „მოთხრობანი" ეწოდება, მაგრამ მასში პოემა „მოხუცის ნათქვამიც" არის დაბეჭდილი. წიგნის ეს ცალი ვაჟას ზოგიერთი თხზულების დაწერის თარიღს აზუსტებს.

პოემა „მოხუცის ნათქვამი" დაიბეჭდა „ივერიაში" 1886 წლის 25 აპრილის ნომერში. ვაჟა-ფშაველას თხზულებების უკანასკნელი გამოცემის III ტომში პოემის დაწერის თარიღი კვადრატულ ფრჩხილებშია მოქცეული და სწერია—1883. შენიშვნების ავტორი ამ თარიღს ასე ასაბუთებს: „წერილში — „კრიტიკა ი. გოგებაშვილისა"—ვაჟა წერს: „ყველა ჩემი ნაწერები, გარდა —შვლის ნუკრის ნაამბობისა", „მოხუცის ნათქვამისა" და „დარეჯანისა", იმ წელს არიან დაწერილნი, რა წელსაც იბეჭდებოდნენ, ხოლო პირველი ორი მეოთხე წელს დაიბეჭდა და მესამე — მოთხრობა „დარეჯანი" — მესამე წელს დღიდან დაწერისა". ამრიგად, პოემის დაწერის დრო 1883 წელია გამოცხადებული. „ამ საბუთით, — სწერია შენიშვნებში, — 1886 წელს გამოქვეყნებული პოემა „მოხუცის ნათქვამი" თარიღდება 1883 წლით".

პ. უმიკაშვილს 1889 წლის გამოცემაში დაბეჭდილი პოემის „მოხუცის ნათქვამის" დასასრულს მიუწერია: „საკუთარი ხელით ნაწერი წიგნის თხოვნით ლუკა რაზიკაშვილისაგან. პეტრე უმიკაშვილი". და მართლაც ვაჟა-ფშაველას ხელით ამ მინაწერთან აღნიშნულია პოემის დაწერის დრო და ადგილი, კერძოდ „1884 წ. ს. ოთარშენი, თებერვალი".

ოთარაშენში ვაჟა პეტერბურგიდან დაბრუნების შემდეგ ცხოვრობდა კოტე ოთარის ძე ამილახვრის მასწავლებლად. თუ ვაჟა 1884 წლის თებერვალში უკვე ოთარაშენშია, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი პეტერბურგიდან 1883 წლის დეკემბერში თუ არა, 1884 წლის იანვარში მაინც დაბრუნდა. 1883 წლის აგვისტოში რუსეთს გამგზავრებული ვაჟა იქ სამ-ოთხ თვეს დარჩენილა.

წერილში „Pro domo sua" ვაჟა 1896 წელს წერს: „1883 წლის დასაწყისში დავწერე „შვლის ნუკრის ნაამბობი", დამლევს იმავე წლისა — „მოხუცის ნათქვამი". როგორც ეს ნაწერი ერთად იმავე 1883 წელს წარუდგინე „ნობათის" რედაქტორს ბ-ნ ანდ. ღლონტს" (უკანასკნელ გამოცემაში შემოკლებული სახელი აქვს. [illegible] კორექტორის გაუფრთხილებლობა). „დამლევს იმავე წლისა" ვაჟა არ[illegible] ღლონტს ამ თხზულებას ვერ წარუდგენდა, რადგან 1883 წლის დამლევს იგი პეტერბურგში იყო. ეს თხზულება მას, ეტყობა, „ნობათის" რედაქციაში მიუტანია პეტერბურგიდან დაბრუნების შემდეგ. პეტრე უმიკაშვილის ნაქონი წიგნი და „შვლის ნუკრის ნაამბობის" დასასრულს ვაჟას ხელით მინაწერი ამტკიცებს ამ ამბავს. წიგნის 35-ე გვერდზე „შვლის ნუკრის ნაამბობის" დასასრულს ვაჟას მიუწერია: „1883 წ. პეტერბურგი". ამრიგად, ეს მოთხრობა 1883 წლის დასაწყისში კი არ არის დაწერილი როგორც შემდეგ ვაჟა წერდა წერილში „Pro domo sua", არამედ იმ წლის დასასრულს.

ვაჟა-ფშაველა, პ. უმიკაშვილის თხოვნით, ერთ თარიღსაც გვიზუსტებს, კერძოდ — მოთხრობა „კერიდლის" დაწერის დროს (ვაჟას მეორე მოთხრობაც აქვს ამ სათაურით, ის დაწერილია 1911 წელს). „კერიდლის" შენიშვნებში (უკანასკნელი გამოცემა, ტ. V, გვ. 357) აღნიშნულია, მოთხრობა დაიბეჭდა „ივერიაში" 1887 წელსო და ნაწარმოებსაც კვადრატულ ფრჩხილებში ეს წელი უწერია. პ. უმიკაშვილს ამ მოთხრობის დაწერის დრო და ადგილი დაუწერინებია ვაჟა-ფშაველასათვის „1883, პეტერბურგი".

პ. უმიკაშვილს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ასეთი ძვირფასი ავტოგრაფული ცნობები შემოგვინახა ვაჟა-ფშაველას მოთხრობების 1889 წლის გამოცემის საკუთარი ცალით.

სოლომონ ხუციშვილი

მოდის ახალი ცვლა

გვესაუბრება თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორი, პროფესორი აპოლონ ქუთათელაძე.

ახლა, ზაფხულის ამ დროს, იშვიათია ისეთი ოჯახი, რომელსაც ოდნავ მაინც არ შეეხება უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების [illegible]. მიახლოებულ გამოცდებზე ლაპარაკობენ ქუჩებში, ტროლეიბუსში, მაღაზიებში...ყველგან. ჩვენ კი, თბილისის სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად, უკვე განვლილი გვაქვს ეს პერიოდი. პირველ აგვისტოს, როცა სხვა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები დაიწყო, ჩვენ უკვე ჩარიცხულთა სია გამოვაკარით.

რა შეიძლება ითქვას წარსულ გამოცდებზე? უპირველეს ყოვლისა, ის, რომ, წინა წლებთან შედარებით, წელს მეტი მომზადებული, თავისი საქმით მეტად დაინტერესებული ახალგაზრდობა მოვიდა.

თუმცა აკადემიის მიღებამ კომისიამ გამოცდების დაწყებამდე წინდაწინ ჩაატარა აბიტურიენტების საშინაო ნამუშევრების გასინჯვა-შერჩევა, გამოცდებზე მაინც დიდი რაოდენობა იქნა დაშვებული — სულ 221 კაცი.

ამ რამდენიმე წლის წინათ თბილისის სამხატვრო აკადემიასთან გაიხსნა დეკორაციული და გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტი. აქ ჩვენ ვამზადებთ ქსოვილთა მხატვრული დამუშავების, ხის მხატვრული დამუშავებისა და ტანსაცმლის მოდელირების სპეციალისტებს. წელს კი ამ ფაკულტეტს კიდევ რამდენიმე ახალი დარგი შეემატა. მათზე მე სიამოვნებით გესაუბრებით, რადგან მთელი ჩვენი კოლექტივი სიმპათიურად არის განწყობილი ამ ახალგაზრდა დარგების მიმართ. ესენია ტრანსპორტის, მრეწველობის მოწყობილობათა და კულტსაყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნების მხატვრული კონსტრუირების ჯგუფები.

ახალგაზრდობის უმეტესობამ სწორედ ამ დარგების შესწავლა გადაწყვიტა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამხატვრო აკადემიის კოლექტივს სწორი კურსი აქვს აღებული. მაგრამ ისე ნუ გაიგებთ, თითქოს, უარვყოფდეთ მანამდე არსებულ ფაკულტეტებს. პირიქით, წელს ჩვენ დიდი სიფრთხილით, დიდი ყურადღებით მოვეკიდეთ მონუმენტური ქანდაკების, გრაფიკისა და კერამიკის განყოფილებებზე შემსვლელებს. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს ხელოვნებას საიმედო ცვლა ეყოლება.

წელს ჩვენ ნიჭიერი ახალგაზრდები გამოვუშვით. არქიტექტორების ჯგუფიდან (ამ ჯგუფში სულ ათი კაცია) რვამ ხუთზე დაიცვა დიპლომი. სახელმწიფო საგამოცდო კომისიამ ბრძანებით აღნიშნა სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულთა მომზადების მაღალი დონე. წელს აკადემია დაამთავრეს ფერმწერლებმა, გრაფიკოსებმა, მოქანდაკეებმა. წელსვე პირველად გამოვუშვით დეკორაციულ-გამოყენებითი ხელოვნების სპეციალისტები. სახელდობრ, ჩვენი აკადემია დაამთავრეს ხის მხატვრული დამუშავებისა და ლითონის მხატვრული დამუშავების მხატვარ-კონსტრუქტორებმა (სულ შვიდმა კაცმა).

ახლა მეტმა ახალგაზრდამ დაამთავრა აკადემიის სასწავლო-საწარმოო ბაზასთან არსებული სკოლა.

ჩვენი სტუდენტების უმეტესობა ახლა დიდ შემოქმედებითს შრომაშია ჩაბმული. ფერწერისა და მონუმენტური ქანდაკების ფაკულტეტის სტუდენტები [illegible] ჯგუფის, გოგი თოთიბაძისა და თენგიზ ყუბანეიშვილის ხელმძღვანელობით პრაქტიკაზე იმყოფებიან [illegible]. ქმნიან თანამედროვეთა გმირული შრომის ამსახველ ტილოებს. არქიტექტორები კი ფშავ-ხევსურეთში იმყოფებიან. მე დავასახელებდი კიდევ მრავალ მხარესა და ქალაქს, სადაც ჩვენი სტუდენტები გადიან პრაქტიკას, მაგრამ ეს ძალზე შორს წაგვიყვანდა. მხოლოდ ერთს აღვნიშნავ: ჩვენი აკადემიის მთელი მეოთხე კურსი მოსკოვს და ლენინგრადს გაემგზავრა იქ არსებული მუზეუმების შესასწავლად. სასიამოვნოა, რომ ისინი ლუვრის მუზეუმიდან ჩამოტანილ ნამუშევრებს გაეცნობიან.

როგორც იცით, ჩვენი აკადემიის შენობის რეკონსტრუქცია ხდება. უახლოეს ხანში დამთავრდება სასწავლო კორპუსების მშენებლობა. ვიმედოვნებთ, რომ ახალ სასწავლო წელს ახალ შენობაში შევხვდებით.

აზიზ ნესინი თბილისში

ჩვენს დედაქალაქში სტუმრად იმყოფება ცნობილი თურქი ნოველისტი აზიზ ნესინი. ა. ნესინს თურქეთში გამოცემული აქვს მოთხრობების 42 კრებული. იგი სისტემატურად იბეჭდებოდა თურქულ პრესის ფურცლებზე. მაგრამ პოპულარობა მაინც ვერ მოუპოვებია. და აი, 1957 წელს იტალიაში, ქ. რომში ჩატარდა მსოფლიოს იუმორისტ-მწერალთა კონკურსი. ა. ნესინმა კონკურსზე მოთხრობა „როგორ დავიჭირეთ ჰამდი" გაგზავნა. ნაწარმოებმა პირველი პრემია — „ოქროს პალმა" დაიმსახურა. და როდესაც რამდენიმე წლის შემდეგ ისევ რომში გამართულ მსოფლიო კონკურსზე ა. ნესინის მოთხრობამ „ბანკეტი ქვების [illegible]" კვლავ „ოქროს პალმა" დაიმსახურა, მწერლის სახელი არამარტო თურქეთში, მთელს ევროპაში გახდა ცნობილი.

აზიზ ნესინის მოთხრობები ხშირად იბეჭდება ქართულ პრესაში.

„ძალიან კმაყოფილი ვარ თბილისში ჩამოსვლით, — თქვა ა. ნესინმა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში, — ქართველებს ძალიან პატივს ვცემ, რადგან ვიცი, რომ ისინი იუმორის დიდი ნიჭით არიან დაჯილდოებულნი. საინტერესო იყო შეხვედრები ქართველ მწერლებთან. აქ გავიგე სასიამოვნო რამ — საქართველოში თარგმნიან და უყვართ ჩემი მოთხრობები. ლიტერატურული ურთიერთობის გაღრმავება ხელს შეუწყობს ჩვენს დაახლოებას, დამეგობრებას. ჩვენი დამეგობრება კი ძალზე საჭიროა".

• • •

სურათზე: აზიზ ნესინი თბილისში.
ფოტო მ. როსტიაშვილისა.

ჟურნალები ივლისში

„**მნათობის**" მეშვიდე ნომერი ამთავრებს ოთ. ჩხეიძის რომან „კვერნაქის" ბეჭდვას. ჟურნალში გამოქვეყნებულია ო. იოსელიანის მოთხრობები, ჟან-პოლ სარტრის „სიტყვები", ხ. ბერულავას, ტ. მებურიშვილის ლექსები, ი. თარბას ლექსები (თარგმანი ქ. კალაძისა), ამერიკელი პოეტების ქ. სენდბერგის, რ. ჯეფერსის, ვ. ლინდზის, ე. ჰიუზის, ტ. ს. ელიოტის ნაწარმოებები (თარგმანი ზ. გამსახურდიასი), ქ. იმედაშვილის „რეალიზმი და გმირობა", მ. კვესელავას „ათასი ფუთი [illegible]", ი. ბერიტაშვილის „რეფლექსური მოძრაობათა კოორდინაციიდან ქცევის ფსიქონერვულ ინტეგრაციამდე", ფ. ტოლაძე-ჭინჭარაშვილის „ანთიმოზ ივერიელი — რუმინეთის პატრიოტი, მწერალი-ჰუმანისტი", ა. მინდაძის „ივერიის" ფურცლებზე", ა. ხანძღრიძის, ი. მაისურაძის, გ. დოლიძის, ი. ქუმსიშვილის რეცენზიები.

• • •

„**ლიტერატურნაია გრუზიას**" მეშვიდე ნომერში გამოქვეყნებულია ს. ჩიქოვანის ლექსები (თარგმანი მ. ლეკომცევისა), ო. იოსელიანის მოთხრობა „ოსტატი" (თარგმანი ვ. გამყრელიძისა), რ. მარგიანის პოემა „მეგობრის საფლავთან" (თარგმანი მ. ლეკომცევისა), გ. ჩრდილიშვილის მოთხრობა „ნათელა" (თარგმანი ზ. ჯასისა), ა. მეგრელის ლექსები, ა. სიტრინის და ა. შერგაშიძის მოთხრობები, მ. ფოცხიშვილის ლექსები (თარგმანი ვ. სერგეევისა), მ. გაროზულის „განვლილი გზა," გ. ასათიანის „კლასიკური ტრადიციების შესახებ", მ. ზავერიძის „მთავარი წიგნი", ნ. ნათაძის „სილამაზის, ძლიერების და სამართლიანობის მომღერალი", ბ. აბზიანიძის „პუშკინი, ლერმონტოვი", მ. ამირეჯიბის, ბ. ჟღენტის, ე. სულაკაურისა და ნ. ჩხეიძის ნარკვევი „ჩვენი მთები, მწვერვალები", გ. თაბლიძის „ანტიკური ქალაქებისა და სოფლების", მ. ლიჩაძის „ცისკრის ამაშუქელი" და ა. ორჯონიკიძის „ორატორია „ცოცხალი ქვა"".

„**დროშის**" ივლისის ნომერი იხსნება გ. ნატროშვილის ნარკვევით „თრიალეთი, ნადირ-ბუღაკი". შემდეგ ჟურნალში დაბეჭდილია შ. ბაღრიძის და თ. პაპუაშვილის „გამორჩეული ისტორიები", ა. კუპრაშვილის „კასპში, ერთ დიდ კედელში", ქ. ლორთქიფანიძის „სიკვდილი ცოტას მოიცდის" (ნამდვილი ამბავი), თ. ძიძიგურის „სინდისის წიგნი", ქ. გამსახურდიას „გასაუბრება დიდებულ სტუმართან" (დასასრული), ლ. ალექსიძის „რა ვნახე იაპონიაში", ს. გამსახურდიას „გამოარჩევდეს კაცთა ღირსთა", ლ. ასათიანის „ძველი წიგნაკიდან", ო. დემეტრაშვილის „თვალი პატრონისა" (გაგრძელება), ი. გრიშაშვილის „გამარჯობა მამა!", გ. გეგეჭკორის, მ. ფოცხიშვილის, ნ. შამანაძის ლექსები და სხვ.

„თეატრმცოდნეობითი ძიებანი"

რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო თეატრალურმა ინსტიტუტმა გამოსცა „თეატრმცოდნეობითი ძიებანი" I ტ. კრებულში მოთავსებულია: დიმიტრი ჯანელიძის — „ვეფხისტყაოსანი" და სახიობა; მალვა მაჭავარიანის — რუსთაველის თეატრის პირველი სეზონი ალ. ახმეტელის ხელმძღვანელობით; ნატა შალუტაშვილის — საბჭოთა ქართული თეატრის რუსულ თეატრთან ურთიერთობის ისტორიიდან; ელენე თოფურიძის — „ჰამლეტი" რუსთაველის თეატრის სცენაზე; ანტონ თავზარაშვილის — მსახიობის შემოქმედების საგნისა და მასალის შესახებ; მალიკო მრევლიშვილის — პათოსი სამეტყველო ინტონაციაში; ბარბარე ნიკოლაიშვილის — ქართული მეტყველების კულტურისა და ლექსის მხატვრული კითხვის ისტორიისათვის; მალვა გოგოძის — რსდმპ ცენტრალური კომიტეტის არალეგალური პოპულარული ორგანო გაზეთი „რაბოჩი", რედაქტორი— ილია თავაძე. გვ. 143, ფასი 20 კაპ.

მცირე მოგონება

ცხრაასხუთი წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ გურიას ცეცხლითა და მახვილით შეესივნენ დამსჯელი რაზმები. გენერალ ალიხანოვ-ავარსკის სისხლიანი ხელი სრული განადგურებით ემუქრებოდა გურიის მშრომელებს.

ნინო ნაკაშიძე იგონებს, რომ ილია ჭავჭავაძემ, როგორც კი გაიგო, რომ თვითმპყრობელობა გურიის განადგურებას უპირებს, მაშინვე შეკრიბა თბილისის მოწინავე ინტელიგენცია და კრებას შემდეგი სიტყვებით მიმართა:

— თქვენ იქნება არც კი იცით, რომ სასწრაფოდ გაგზავნეს დამსჯელი რაზმი გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით ერთ ჩვენი საუკეთესო კუთხის, გურიის მოსასპობად. ალიხანოვი უსასტიკესი ადამიანია, ის არავის დაზოგავს და უნდა მოველოდეთ, თუ ის ჩავიდა გურიაში, ქალიან-ბავშვიანად ამოწყვეტს ყველას. ჩვენი მოვალეობაა გადავარჩინოთ ეს ჩვენი ქვეყნის თვალი საშინელ განსაცდელს. სასწრაფოდ ახლავე ავირჩიოთ წარმომადგენლები და გავგზავნოთ მეფის ნაცვალთან. ვთხოვოთ დააბრუნოს ალიხანოვ-ავარსკი მისი რაზმით და, თუ არ დააბრუნებს, მაშინ ყველანი უნდა ავდგეთ, ავისხათ იარაღი და გურულებთან ერთად გავწყდეთ, ჩვენი ძვლები იმათთან ჩავყაროთ...

ამ კრებას ვაჟა-ფშაველაც დასწრებია.

ილიას სიტყვებს—წავიდეთ და გურულებთან ერთად ჩვენი ძვლებიც იქ ჩავყაროთო, ყველა დაეთანხმა. მაგრამ ვიღაცას წამოუძახია: არავინ ჩვენთაგანი იქ არ წავაო. ამით გაბრაზებულ ილიას უთქვამს — მაშინ სირცხვილი ჩვენ. ამ სირცხვილს ხალხი არ გვაპატიებს და თითო შეხვედრა მტერსო. ამ დროს ილიას სასასწრაფოდ ვაჟას განუცხადებია: ორას კაცს, შეიარაღებულ ფშავ-ხევსურ-ფშაველებს მე ჩამოვიყვანო.

ეს ამბავი ნინო ნაკაშიძისათვის თედო კილაძეს გადაუცია. ერთ დღეს ვაჟასა და ნინოს შორის შემდეგი საუბარი გამართულა:

— 1905 წ. ნასაკირალის შეტაკების შემდეგ თქვენ [illegible] გურიაში დამსჯელი რაზმის წინააღმდეგ საბრძოლველად ორასი შეიარაღებული ხევსური ჩამოგყავდა.

— ჰოდა, მერე რა, — თქვა ვაჟამ,— მე და ჩემმა [illegible], ჩამოვიყვანდით კიდეც და ვიბრძოლებდით კიდეც, მაშინ ილია ჭავჭავაძეც [illegible] წამოსვლას. იმან შეგვაგულიანა ყველანი.

კარგად მახსოვს ის წლები. ჩვენ, ახალგაზრდებს, უზომოდ გვიყვარდა ვაჟას პოეზია და მის ყოველ ახალ ნაწარმოებს მოუთმენლად მოველოდით.

1915 წელი იყო. მსოფლიო ომი მძვინვარებდა. ზოგიერთ სასწავლებლის კარები [illegible] გამოკეტა. თბილისის სასულიერო სემინარიის შენობაში ლაზარეთი გაიხსნა. სემინარიელებს საღამოობით სათავადაზნაურო გიმნაზიაში გვამეცადინებდნენ. გიმნაზიის შენობის რამდენიმე ოთახში სამხედრო საავადმყოფო იყო მოთავსებული. ზაფხული იდგა. მთელ საქართველოს მოედო ვაჟას ლოგინად ჩავარდნის ამბავი. საგრძნობლად დასუსტებული და ძალზე დაავადებული ვაჟა-ფშაველა ამ სამხედრო საავადმყოფოში დააწვინეს.

ჩვენი მოწაფეების გული და ყური მიპყრობილი იყო იმ ოთახისკენ, რომელშიც დიდი ვაჟა იწვა. ავადმყოფს ძალიან ხშირად ნახულობდა იოსებ იმედაშვილი. მოწაფეები ხშირად [illegible] გიმნაზიის ეზოს კართან, რომ საავადმყოფოდან გამოსული იმედაშვილისაგან მგოსნის ჯანმრთელობის ამბავი გაგვეგო. ივლისის უკანასკნელ დღეებში ვაჟას მდგომარეობა უმეტესად მძიმე შეიქნა. 27 ივლისს იოსები საავადმყოფოდან ნამტირალევი თვალებით გამოვიდა. ყველაფერი გასაგები იყო. იოსებს ვერაფერი ვკითხეთ, შევატყეთ, რომ შეწუხებული [illegible] მოგვიბრუნდა და გულის ამოსკვნით შეგვატყობინა: სიკვდილმა ჩვენთვის მოიცალა, აღარ ცოცხალი ვაჟა გვყავსო.

მგოსნის ცხედარი საავადმყოფოდან [illegible] ეკლესიაში გადაასვენეს. გაზეთები ფართოდ გამოეხმაურნენ დიდი პოეტის გარდაცვალებას. გლოვობდა მთელი საქართველო.

28 ივლისს, საღამოს 8 საათზე, გ. ლასხიშვილის თავმჯდომარეობით თათბირი გაიმართა. ამ თათბირის შესახებ გაზეთი „საქართველო" 30 ივლისის ნომერში იუწყებოდა: „თავმჯდომარის წინადადებით დამსწრე საზოგადოებამ ფეხზე დგომით პატივი სცა პოეტის ხსოვნას. შემდეგ ამისა დადგენილება გამოიტანეს: 1. საგანგებო [illegible] გაგზავნოს სოფელ ჩარგალში განსვენებული მგოსნის ცოლშვილისათვის სამძიმრის გამოსაცხადებლად მთელი ქართველების სახელით: მგოსნის ცოლშვილს სახსარი აღმოუჩინოს თბილისში ჩამოსვლისათვის, მგოსნის დაკრძალვაზე დასასწრებლად. 2. მგოსანი დასაფლავებულ იქნას დიდების ეკლესიის გალავანში ქართველ მოღვაწეთათვის შემდგარ პანთეონში [illegible]. 3. დასაფლავებისათვის ხარჯების დასაფარავად საჭიროა 1500 მანეთამდე. ვინაიდან პოეტი ვაჟა მთელ ერს ეკუთვნის, ეს ხარჯები მთელი ქართველი ერის სახელით უნდა გაიწიოს ყველა ქართველმა [illegible] შეწირულებით. 4. არჩეულ იქნას 5 კაცისაგან შემდგარი ბიურო, რომელიც უხელმძღვანელებს მგოსნის დაკრძალვას..."

ვაჟას დასაფლავება მოხდა 2 აგვისტოს. დასაფლავებას დიდძალი საზოგადოება დაესწრო. დიდებული მწერალი ღირსეული პატივისცემით მიაბარეს მშობლიურ მიწას.

არკადი ხუნდაძე

ვაჟას მამა

ახალი მასალები პავლე რაზიკაშვილის შესახებ

ვაჟას მამას, პავლეს განზრახული ჰქონია ვრცელი ავტობიოგრაფიული ნარკვევის დაწერა. წერა დაუწყია, მაგრამ დაასრულა თუ არა მან ეს ნაშრომი, ჯერჯერობით გამორკვეული არ არის, რადგანაც ამ ნარკვევის მხოლოდ ნაწილია ცნობილი (იხ. ს. ყუბანეიშვილის პუბლიკაცია — „ვაჟა-ფშაველა" — 1937 წ.). არც ვაჟა-ფშაველა გვაწვდის დაწვრილებით ცნობებს თავისი მამის ადრეული საქმიანობის შესახებ. იგი ამ საქმიანობის აღწერას უშუალოდ იმ დროიდან იწყებს, როდესაც პავლე რაზიკაშვილი მაღაროსკარში მოვიდა დიაკვნად.

ამ ხარვეზს, ნაწილობრივ ავსებს ის ახლადგამოვლენილი დოკუმენტი, რომელიც დაკავშირებულია პავლე რაზიკაშვილის სამსახურებრივ საქმიანობასთან.

საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში (ფ. 488, № 19869) ინახება პ. რაზიკაშვილის—ჩარგლის ეკლესიის მედავითნის თანამდებობიდან განთავისუფლების ირგვლივ შექმნილი მთელი საქმე, სადაც, სხვა საბუთებს შორის, პავლეს სამი მოხსენებითი ბარათია. ყველა ამ დოკუმენტს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც პ. რაზიკაშვილის ბიოგრაფიისათვის, ისე ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების ზოგიერთი მომენტის ნათელსაყოფად.

1862 წლის ოქტომბერში თიანეთის ბლაღოჩინს ექვთიმე ელიოზიშვილს ჩარგლის ეკლესიის მედავითნე პავლე რაზიკაშვილი დაუბარებია და გამოუცხადებია განთავისუფლებული ხარ ჩარგლის წმინდა გიორგის ეკლესიის მედავითნის თანამდებობიდანო. ბლაღოჩინს პავლესთვის გადაუცემია მის წინააღმდეგ შედგენილი საჩივარი, რომელშიც თურმე შუამთის მღვდელი ზაქარია დეკანოზიშვილი (ცხადია, განაწყენებული პავლეზე) ბრალს სდებდა ჩარგლის მედავითნეს, ქრისტიანულ წესებს არ იცავს, ქალიშვილი მოიტაცა, მეორე ცოლთან ჯვარდაუწერლად ცხოვრობსო და სხვ. პავლეს ბლაღოჩინის წინაშე თავი გაუმართლებია და აშკარად დაურწმუნებია იგი წამოყენებული ბრალდებები ცილისწამებააო. ექვთიმე ბლაღოჩინს პავლე [illegible] დაუბრუნებია თავის თანამდებობაზე ჩარგალში, მაგრამ იმავე წლის ნოემბერში გამოუძახებია და კატეგორიულად გამოუცხადებია, რომ განთავისუფლებული ხარ ჩარგლის ეკლესიის მედავითნის თანამდებობიდან და [illegible] მიზნით შუამთის მონასტერში უნდა წაბრძანდე ერთი თვითო.

როგორც პავლე რაზიკაშვილის [illegible] და აგრეთვე მის ირგვლივ შექმნილი საქმიდან ჩანს, მას (პავლეს) მონაწილეობა არ მიუღია იმ ინტრიგებში, რასაც თიანეთის ახალი ბლაღოჩინი, ექვთიმე ელიოზიშვილი აწყობდა ძველი ბლაღოჩინის პავლე ცისკარიშვილის წინააღმდეგ. ამის შესახებ თიანეთის ბლაღოჩინმა ელიოზიშვილმა პირდაპირ განუცხადა პავლეს, შენ ცისკარიშვილის საქმეში [illegible]; პავლეს კი უპასუხია, მე მეშინიან ღმერთისა და მქენჯნის სინიდისი, ვერ ვიტყვი ცუდს და ტყუილს მართალ კაცზეო. მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ პავლე შუამთის მონასტერშიც გაგზავნეს „გამოსასწორებლად" და ორ წელიწადზე მეტ ხანს სამუშაო არ მისცეს, იგი არ შეუშინდა არაფერს, ამხილა როგორც ცილისმწამებლები ისე მისი ხელისშემწყობნი და თავისი [illegible], მაგრამ თიანეთის ბლაღოჩინმა ის მაინც მოახერხა, რომ რაზიკაშვილი თავის სოფელში აღარ დააბრუნა.

1864 წლის დეკემბერში პ. რაზიკაშვილი შუამთის ეკლესიაში დაინიშნა მედავითნედ. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ჩარგლის ეკლესიის ახალი მღვდლის მიხეილ ვარდიაშვილის მოხსენებითი ბარათი, დაწერილი 1862 წლის დეკემბრის 7-ს თიანეთის ბლაღოჩინის სახელზე. იგი წერს: 1862 წლის 16 ნოემბერს შევუდექი რა ჩემს ახალ მრევლში, ჩარგალში სამსახურს, ჩემს მოვალეობად ვთვლი და დიდი სურვილი მაქვს აღნიშნულ მრევლში გავხსნა სკოლა, რისთვისაც გთხოვთ ჩემი და ჩარგლის მრევლის სახელით იშუამდგომლოთ ეგზარხოსის წინაშე, რომ პავლე რაზიკაშვილი დააბრუნონ თავისსავე მრევლში (ჩარგალში) მედავითნის თანამდებობაზე შემდეგი [illegible] მიზეზების გამო:

1. ის როგორც აქაური, ერთგული და თავდადებული იქნება საქმისა, ჩემთვის კი სასარგებლო და აუცილებელია მისი დაბრუნება.
2. როგორც მოისმინეთ, მე იგი სკოლის გახსნაში მხარში ამომიდგება და თანაგრძნობას გამიწევს, ხალხი მას უფრო დაუჯერებს, რათა თავისი შვილები მიაბარონ სკოლაში.
3. და ბოლოს, მისი განთავისუფლება ამ მრევლიდან ხალხში იწვევს დიდ წინააღმდეგობას.

ჩარგლის მღვდელს ამ თხოვნაზე უარი უთქვამს იმ მოტივით, რომ ამ ადგილზე უკვე დანიშნულია [illegible]. [illegible] ისიც აღსანიშნავია, რომ მაშინვე პავლეს სახლში ჰქონია სკოლა გახსნილი, თანასოფლელებისათვის წერა-კითხვა უსასყიდლოდ უსწავლებია. სხვა მრავალი [illegible] მიუძღოდა პავლეს თავისი ხალხის წინაშე და ამიტომ იყო, რომ მთელი მრევლი აღუდგა მის დასაცავად.

ბრ. კაკიაშვილი

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი.
სარედაქციო კოლეგია: დ. ანთაძე, ხ. ბერულავა, ა. გომიაშვილი, ნ. გურეშიძე, გ. ლეონიძე, ა. მირცხულავა, მიხ. მრევლიშვილი, გ. ნატროშვილი, ბ. ჟღენტი, ერ. ქარელიშვილი, ხ. ჩიქოვანი, თ. ჯანგულაშვილი, უ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66449 რედაქციის მისამართი: თბილისი, მაჩაბლის ქ. № 13, ტელეფონები: რედაქტორის 9-84-04, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების 9-87-10, საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 11942